1927 წ. მაისი.

№ 17.

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante

Édition mensuelle

1927. — MAI № 17

საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.



საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე
ნოე ჟორდანია.

1801 წელს იმპერატორთა რუსეთმა შთანთქა საქართველოს სახელმწიფო, «ყოველმხრივ მტერთაგან შევიწროებული» და ამავე დროს შიგნითაც დაქუცმაცებული, დაავადებული, ილაჯ-გაწყვეტილი.

117 წლის უცხო ბატონობაში მყოფმა ქართველმა ერმა სრულად ისარგებლა იმ შეღავათით, რომელსაც მას საგარეო მშვიდობიანობა აძლევდა: ძალები მოიკრიბა, თანამედროვე მოქალაქეობრივობას ეზიარა, სძლია შინაგანი დაქუცმაცება, გაერთიანდა ტერიტორიალურად, ნაციონალურათ, ეკონომიურათ, აღიდგინა მთლიანი ეროვნული შემეცნება, და როცა ის «დარჩა თავის ძალღონის ამარათ» კვლავ «ყოველმხრივ მტერთაგან შევიწროებული», მის ირგვლივ მძვინვარე ქარიშხალს შეხვდა გაცილებით უფრო მომზადებული და მომწიფებული, ვინემ ამას მტერი და მოყვარე მოელოდა.

ის სხვა ერებზე ნაკლებ სიტყვიერობდა თავის ეროვნულ მისწრაფებებზე, მაგრამ როცა დაჰკრა საბედისწერო ჟამმა, მას აღმოაჩნდა სხვაზე მეტი ერთსულოვნობა, შედუღებული ეროვნული ნებისყოფა, სწრაფი გადაწყვეტილების და მოქმედების უნარი.

ჯერ კიდევ არ გარკვეულიყო რუსეთის რევოლიუციის ბედი, როცა ქართველი ერი შეუდგა—რევოლიუციურ ორგანიზაციების გვერდით—ეროვნულ ხელმძღვანელ ორგანოს შექმნას. ეს იყო პირველად ქართულ პარტიების წარმომადგენელთაგან შემდგარი «ინტერპარტიული საბჭო», 1917 წლის ივლისში დაარსებული. ხოლო, როცა რუსეთში ანარქია აზღვავდა, საბჭოს თაოსნობით მოწვეულ იქნა დედაქალაქში შუა ნოემბრისათვის ეროვნული ყრილობა, რომელზედაც ქართველ ხალხს წარმოადგენდენ პარტიების, ქალაქთა თვითმმართველობების, რევოლიუციურ ორგანოების, კულტურულ და ეკონომიურ დაწესებულებების დელეგატები. ყრილობამ აირჩია თავისი აღმასრულებელი ორგანო—საქართველოს ეროვნული საბჭო», რომელიც 6 თვის შემდეგ საქართველოს პირველ პარლამენტად უნდა ქცეულიყო.

ვისაც წილად ხვდა დასწრებოდა ეროვნულ ყრილობას სახაზინო თეატრში არასოდეს აღმოეფხვრება მეხსიერებიდან იმ დღეების განცდანი. სხდომების სპონტანური საზეიმო ხასიათი, ორატორების ტონი, ნოე ჟორდანიას მოხსენება, კათალიკოზის კონდაკი, დელეგატთა ერთსულოვნობა, საერთო ხალხური აღფრთოვანება, რომლითაც გარემოცული იყო ყრილობა—ყველაფერი მოწმობდა, რომ ქართველი ერის მაჯა, მისი გული იმ დღეებში სწორედ იქ ფეთქდა და არა სხვაგან. ეს იყო აუცილებელი წინამორბედი 26 მაისისა, მისი მომამზადებელი. ქართველობას ჯერ საჯაროთ უნდა განეცხადებინა თავისი ეროვნული სახის კვლავ მოპოვება, საქვეყნოთ უნდა შეეცნო თავისი თავი თანამედროვე ერათ, რომ შემდეგ, საჭირო ჟამს, სწრაფი გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება შესძლებოდა. და ასეც მოხდა. გახსოვთ ნოე ჟორდანიას ისტორიული სიტყვები? «ამიერიდან არ არის არც გლეხი, არც თავადი, არც აზნაური. არის მხოლოდ მთლიანი, გაერთიანებული ქართველი ერი!»-ო და სხვ. და სხვ... მთელი ყრილობა და დამსწრე ხალხი, როგორც ერთი კაცი, წამოიჭრება და აღტაცებული, თავდავიწყებული ყიჟინით მიესალმება ამ ქართულ «ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას». ჩვენს ეროვნულ წარმომადგენლობას იმ ხანებში თავისი 4 აგვისტოც ჰქონდა: გამჭრიახი და კეთილშობილი კოტე აფხაზი თავად-აზნაურობის სახელით მიართმევს «ეროვნულ საბჭოში» განსახიერებულ ქართველ ერს თავად-აზნაურობის მთელ კოლექტიურ წოდებრივ ქონებას...

ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელობით მზადდება ქართული სამხედრო ორგანიზაცია, ხოლო თავისუფალი ქართული ეკლესია კიდევ ადრე მოეწყო. ეროვნულ პოლიტიკურ ცენტრთან არსდება სხვადასხვა სექციები: ფინანსიური, სამხედრო, განათლების და სხვ.

მაგრამ «ეროვნული საბჭო» ჯერ, ასე ვთქვათ, კულისებშია: მისი ჟამი ჯერ არ დამდგარა, მთავარი მოქმედება ისტორიულ დრამისა ჯერ სხვა არეზე სწარმოებს. ისტორიულ ვითარებას თავისი გარდაუვალი მსვლელობა აქვს, რომელიც არ მისდევს ადამიანის სადა ლოღიკის კალაპოტს. უნდა მომხდარიყო ორი პოლიტიკური სხეულის დანგრევა, რომ მათ ნანგრევებზე ფენიქსივით აღმოცენებულიყო ეროვნული თავისუფლება. რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე სცადა ფეხის მოკიდება ამიერ-კავკასიის სახელმწიფომ. 33 დღე საკმარისი აღმოჩნდა, რათა ნათელი გამხდარიყო, რომ ისტორიას ჯერ კიდევ საკმაოდ არ მოემზადებია ნიადაგი ასეთი პოლიტიკური ორგანიზმის დღეგრძელობისათვის. ამიერ-კავკასიის კავშირი მომავალი ისტორიული აუცილებლობაა, რომლის განხორციელება უნდა მოემზადებია თვითეულ მის შემავალ ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას. ამას საუცხოვოთ გამოსახავს ნოე ჟორდანია თავის სიტყვაში 26 მაისს.

დაირღვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა. დასრულდა კიდევ ერთი აქტი ისტორიულ დრამისა. და, საქართველოს დედა-ქალაქში, იმავე დღეს, იმავ დარბაზში, ისევ აიხადა ფარდა და დაიწყო, ან უკეთ რომ ვთქვათ, განახლდა მოქმედება, შეწყვეტილი 117 წლის წინათ.

დაჰკრა ჟამმა, როცა ნამდვილი მთავარი მომქმედი პირი უნდა გამოსულიყო ისტორიის ავანსცენაზე.

მაგრამ, ვალაპარაკოთ ამ დიადი დღის მატიანე:

საქართველოს ეროვნულ საბჭოს პირველი სხდომის ოქმიდან.

«კვირა, 26 მაისი 1918 წელი, ქალაქი თფილისი. სასახლე. სხდომას დაესწრო 42 წევრი და 36 კანდიდატი.

ლოჟებში და ქანდარაზე მრავალრიცხოვანი საზოგადოებაა...

მოედანი სასახლის წინ და უახლოესი ქუჩები გაჭედილია ხალხით.

სასახლის თავზე ფრიალებს ქართული დროშა...

თავმჯდომარეობს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია...

სხდომა იხსნება ნაშუადღევის 4 ს. და 50 წუთზე.

როცა თავმჯდომარე თავის ადგილს იჭერს, საბჭო და დამსწრე ხალხი მიესალმებიან მას ფეხზე ადგომით; ხანგრძლივი, მქუხარე ტაშით და უმართავენ ოვაციას.

თავმჯდომარე. ეროვნული საბჭოს სხდომას გახსნილათ ვაცხადებ.

მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწამენი იყავით იშვიათი ისტორიული და ამავე დროს ტრაღიკული აქტის. ამ დარბაზში დღეს მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, დღესვე ამავე დარბაზში ეყრება საძირკველი მეორე სახელმწიფოს.

ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა, მეორე კი იბადება, არ არის ინტერესთა წინააღმდეგობა.

და თუ პირველი აღსდგა ოდესმე მკვდრეთით, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა (ტაში).

ახალი სახელმწიფო—საქართველო, რომელიც დღეს არსდება, არ წავა რომელიმე ერის, ხალხის ან სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ.

მისი მიზანია—თავი გადაირჩინოს თანამედროვე ისტორიულ ქარიშხალში.

და როცა ეს მიზანი მიღწეული იქნება, ის დაეხმარება მათაც, ვისაც ჩვენს ქვეყანასთან ერთად დაატყდა თავს უდიდესი განსაცდელი (ტაში).

თქვენ კარგათ იცით, რომ საქართველო ჩვეულია არსებობისათვის ბრძოლას, ის საუკუნოების განმავლობაში იბრძოდა თავისი სულიერი სახის, ეროვნული სხეულის და ტერიტორიის შესანარჩუნებლათ, მაგრამ ის იბრძოდა მუდამ თავისი არსებობისათვის და არასოდეს შეხებია სხვის არსებობას.

ამავე დროს ის იბრძოდა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ აგრეთვე იმ ხალხთათვის, რომელნიც მის სახელმწიფოს საზღვრებში ცხოვრობდენ.

ვიტყვი მეტს—თავისი საზღვრების გარეშეც ის იბრძოდა აგრეთვე სხვების დასაცავათ.

ქართველმა ხალხმა ეს ისტორიული მისია თავის სახელმძღვანელო აღთქმათ გაიხადა და ეს არის იმის მიზეზი, რომ მან დღემდე შეინარჩუნა თავისი ძირითადი ისტორიული მისწრაფება—თავისი ინტერესების სხვა ხალხთა ინტერესებთან შეთანხმება.

და ამიტომაც—არც ერთი ხალხი, ჩვენს ქვეყანაში თუ მისი საზღვრების გარეშე მცხოვრები, არ უნდა შეიპყროს შიშმა, სულიერმა ტანჯვამ ან გულისტკივილმა.

განა არ განაცხადეს დღეს სეიმში გამოსულმა ორატორებმა, რომ არ არის ხალხი, რომელიც ცუდათ იყოს განწყობილი ქართველი ერისადმი?!

და ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი სახელმწიფო, ახალი მთავრობა სავსებით გაამართლებს ამ იმედებს.

ჩვენ გვსურს მეგობრული განწყობილება გვქონდეს ჩვენს ქვეყანაში თუ მის გარეშე მცხოვრებ ხალხებთან.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ღრმა ტრაღედიას იმ ხალხისას, რომლის ერთი ნაწილი ცხოვრობს ჩვენს ტერიტორიაზე, ხოლო მეორე ნაწილი—ჩვენი საზღვრების გარეშე.

ეს არის სომხის ხალხი.

თანამედროვე ქართველნი გაიხსენებენ ძველ ადათს და სომხის ხალხი მოიპოვებს ჩვენში იმავე მფარველობას, რომელსაც პოულობდა ქართველ მეფეებისაგან (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ გვსურს კეთილმეზობლური განწყობილების დამყარება იმ ხალხთან, რომელიც შეადგენს ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა უმრავლესობას—მაჰმადიანებთან. ჩვენი სურვილია, რომ მათ მიჰბაძონ ჩვენს მაგალითს, დაარსონ თავიანთი სახელმწიფო და გამოგვიწოდონ ჩვენ ხელი გაერთიანებისათვის (მხურვალე ტაში).

მეგობრული ურთიერთობა ჩვენს მოსაზღვრე ხალხებთან შექმნის მკვიდრ საფუძველს, რომელზედაც განმტკიცდება ჩვენი ნორჩი სახელმწიფო და აგრეთვე მეზობელი სახელმწიფოები და ჩვენი საერთო მოწინააღმდეგენი მოკლებული იქნებიან შეძლებას გვძლიონ ჩვენ და დაანგრიონ ჩვენი ქვეყანა.

ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებში ბინადრობენ ეროვნული უმცირესობანი. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენი ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისეთივე სრულუფლებოვანი, როგორც ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა—ქართველი ხალხი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი.
პ. ჯაფარიძე, გ. ნათაძე, ექ. თაყაიშვილი, ალ. ლომთათიძე, ს. მდივანი, ჩ. შარაშიძე.

ეს ხალხები, გაერთიანებულნი საერთო დროშის ქვეშ, დაამყარებენ კავშირს ჩვენი სახელმწიფოს საზღვრების გარეშე მცხოვრებ ხალხებთან და ამ გზით აღორძინდება სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ ჩვენს წინაშე დაშლილ სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება—კავკასიის კონფედერატიული კავშირი (ხანგრძლივი ტაში მთელს დარბაზში).

ჩვენი გზა, ჩვენი იდეალი მიმართულია ასეთ კავშირის შედგენისაკენ. ეს კავშირი იქნება ის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი—სახელმწიფოთა კავშირი—რომელიც შემოიკრებს თავის ირგვლივ საერთო ძალებს, ერთის ნებით დაუხვდება გარეშე მტერს და დაიცავს მისგან თავს (ტაში).

და აი მაშინ შეიძლება აღსრულდეს ის, რაც ვერ შექმნა სეიმმა.

და ისინი, ვინც დღეს შეუგნებლათ ისწრაფვიან ამიერკავკასიის საზღვრებიდან, შეიძლება კვლავ დაგვიბრუნდენ ჩვენ და დადგენ ჩვენი საერთო დროშის ქვეშ.

მაშინ განხორციელდება ამიერკავკასიის ერთობა და განმტკიცდება მასში მცხოვრებ ხალხების ძლიერება (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

თავმჯდომარე: ეხლა ნება მომეცით შევუდგეთ იმას, რისთვისაც შევიკრიბეთ აქ.

ჩვენ გვაქვს უკვე შემუშავებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომელსაც ეხლავ წავიკითხავთ.

(თავმჯდომარე კითხულობს «საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს»)

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

«მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

«მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

«რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

«დარჩენ რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

«ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

«ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით-კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.»

კრება და დამსწრე საზოგადოება ისმენენ ამ აქტს ფეხზე მდგომნი. თვითეული მუხლი იწვევს მქუხარე ტაშს. წაკითხვის დასასრულს იმართება ხანგრძლივი ოვაცია.

სიწყნარის ჩამოვარდნის შემდეგ, თავმჯდომარის წინადადებით, ეროვნული საბჭოს მდივანი გადის აივანზე და იქიდან უკითხავს დამოუკიდებლობის აქტს სასახლის წინ შეკრებილ ხალხს. აქტის წაკითხვის განმავლობაში აივანზე ორ ეროვნულ დროშას სდარაჯობს საპატიო ყარაულის რაზმი.

აქტის თვითეული მუხლი იწვევს ხალხში აღფრთოვანებას, აღტაცების ყიჟინას, ტაშს და ოვაციებს...

ამის შემდეგ თავმჯდომარე სვამს საკითხს—თანახმაა თუ არა კრება მიიღოს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

ეროვნული საბჭო ერთხმათ აღფრთოვანებით იღებს აქტს და ამტკიცებს მას უცვლელათ.»

დამფუძნებელი კრების პირველი დადგენილება.

«საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:»

(მოყვანილია დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი, რომელსაც ხელს აწერენ დამფუძნებელი კრების სხდომის დამსწრე ყველა დეპუტატები).

ამ ნომერში 6 გვერდია.

სამშობლოს დიდებისთვის.

26 მაისი სამშობლოს დიდების დღეა, მის შვილთა იდუმალ ზრახვების, ბრწყინვალე იმედის, მტკიცე ნების-ყოფის.

არის ორი სახის უბედურება: ერთი, როცა ერი იმყოფება უცხო უღლის ქვეშ; მეორე, როცა მისი შვილნი არ გრძნობენ მთელის თავის სიმძაფრით ამ უღელს. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ მეორე სახის უბედურება გაცილებით უფრო დიდია, ვინემ პირველი. ფიზიკური დამონავება ჩვენს გარეთ მყოფ ძალთა საქმეა, მაშინ როდესაც გულგრილობა ამ ფაქტის წინაშე ერის სულიერ პოტენციის არარაობას მოასწავებს.

თუ ამ საზომით მივუდგებით ქართველ ერს, ჩვენ დავინახავთ, რომ ის თვითგანსახიერებაა უსასტიკეს პროტესტისა და დაუძინებელ მტრობის მოსკოვის უღლისადმი. რა უყოთ, რომ ის გამუდმებულ ხელჩართულ ომში არ არის საოკუპაციო ხელისუფლებასთან, თავს იკავებს მასიურ გამოსვლებისაგანაც, თუნდაც სამშობლოს სადიდებლათ; მაგრამ ბრძოლის ესა თუ ის ფორმა მისგან როდია დამოკიდებული, არამედ მთელ რიგ პირობებისგან, რომელიც მის გარეშეა და არც მის კარნახს ემორჩილება.

მტერი ცდილობს, მართალია, წონასწორობიდან გამოიყვანოს ქართველი ერი. თხზავს ათასგვარ ჭორებს, როგორც მაგ., ვითომ ხელმძღვანელნი აჯანყებისაკენ მოუწოდებდენ მას. და ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მტერმა ჩინებულათ იცის, თუ როგორ სმენად არის ქცეული მთელი ერი იმ სანატრელ წუთის მოლოდინში, როცა მას მართლაც მიეცემა შემთხვევა მთელის თავის ძალ-ღონით შეუტიოს მოძალადეთ. ქართველ ერს ტრადიციულათ აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი სტრატეგიის ის ძირითადი დებულება, რომ მტერს უნდა მისცე ბრძოლა მაშინ, როცა ეს შენთვის და არა მისთა არის ხელსაყრელი.

მტერი მეორე ხერხსაც მიმართავს. გასულ თვეს მომხდარ საბჭოთა ყრილობაზედ საოკუპაციო ხელისუფლების დიდი და პატარა აგენტები ოფლიდან იწურებოდენ, რომ დაემტკიცებიათ ქვეყნისთვის «უდიდესი მიღწევანი» ეკონომიურ და, ასე წარმოიდგინეთ, ეროვნულ სფეროში! ამ გაუთავებელ ყბედობის გარდა სხვას არაფერს შეიცავდა მათი «უზენაესი ორგანო». პროვინციის დაფეთებული დელეგატები კი თუთუყუშივით იმეორებდენ: «დიახ, მიღწევანი დიდია, მაგრამ ნაკლიც უნდა აღვნიშნოთ»... მაგიამ სწორეთ აქ მათ ენა მუცელში უვარდებოდათ!

ყბედობენ და თან ჩვენზე ნაკლებ არ არიან დარწმუნებული, რომ ხალხს არ სჯერა მათი სიტყვა, და არც საქმე. ამიტომ ისინი მესამე ხერხსაც მიმართავენ... მაგრამ ჩვენ ვერ მივცემთ თავს ნებას დიდების დღე ყარიბის და ძმათა მისთა «უანგარო» ჭაპან-წყვეტის გადმოლაგებით შეურაცხ ვყოთ.

გეშინოდეთ! ალღო სწორათ გაქვთ აღებული, ყნოსვაც არ გღალატობთ. თქვენს ბალი-აღას მართლაც ცუდათ აქვს საქმე. ევროპიდან კუდ-ამოძუებული ის შორეულ აზიაში ეძებდა გამოსავალს. ეხლა კი ვიცით, როგორ სამარცხვინოთ მთავრდება ეს ავანტიურა. ჩინეთის ხალხი არ გამოდგა საკმაოთ ბნელი და უისტორიო, რომ რუსის ხალხის ბედი გაენაწილებია.

მოსკოვი ისევ ევროპისკენ იბრუნებს პირს. მისი მოგზავნილნი თავს იკატუნებენ ჟენევაში! როდემდის? მართალია, მოსკოვი არ იღლება ყბედობით, რეზოლიუციების წერით, მაგრამ აბა სხვებსაც ჰკითხოს, რა აზრის არიან მის შესახებ. ისმის მოსკოვისთვის საბედისწერო კითხვა ევროპაში, ამერიკაში და აზიაშიც. თვითლიკვიდაცია ან გარედან დანგრევა, მესამე გამოსავალი არ არის. წრე ვიწროთ არის შემოკალთული. მანიოვრები თანდათან შეუძლებელი ხდება. ჯერ დაწინაურებულ ქვეყნების მშრომელ მასებშიც მოსწყინდათ ეგოდენი სიყალბე, ორპირობა, ველურობა. არავინ რჩება მოსკოვს დამცველი, გარდა მისივე დაქირავებულ ნაძირალებისა.

იმავე დროს «კავშირის» არარუს ერთა გამოფხიზლება, მათი სტიქიური მისწრაფება თავისუფლებისაკენ, მათი დარაზმვა უმნიშვნელოვანესი ფაქტია. უტყუარია აგრეთვე ისიც, რომ თანაგრძნობა ამ ერებისადმი თანდათან იზრდება უცხოეთში. მოსკოვს არ ღალატობს წინაგრძნობა, როცა ასე უწმაწურათ ილანძღება უკრაინელ-კავკასიელთა «პრომეთე«-ს გამოსვლის გამო, და როცა ამავე მოვლენას რუსის მემარჯვენე ემიგრაცია ყორანივით თავს დასჩხავის. სწორეთ აქ გამოჩნდა შავი და წითელ რეაქციის შეტყუპება.

საძირკველი ეყრება კავკასიის ერთა მთლიან ფრონტს საერთო და თვითეულის განთავისუფლებისათვის. კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი ამ მისწრაფების მატარებელი ორგანოა. მისი ლოზუნგია კონფედერაცია, რომელიც საქმით და არა ლიტონი სიტყვით გამოხატავს როგორც თვითეულ ერის რეალურ უზენაესობას, ისე ყველა მათ ძალთა კოორდინაციას უცხო ჯარების კავკასიის საზღვრებიდან გასაძევებლათ და მათი დასაცავათ.

საქართველოს პოლიტიკური, ინტელექტუალური და მორალური მთლიანობა არასოდეს არ ყოფილა ისე საჭირო და სავალდებულო, როგორც დღეს; ეს მთლიანობა ერთ ერთი ცხოველმყოფელი ნაკადულია, შემავალი კავკასიისა და შემდეგ «კავშირის» არარუს ერთა მქუხარე მდინარეში, რომელიც წალეკს მოსკოვის ბატონობასა და ბარბაროსობას. საქართველოს მთავრობა და მის ირგვლივ შემოკრებილი პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელნი სდგანან ფხიზლათ თავიანთ პოსტზედ და განაგრძობენ დაუღალავ მუშაობას ქვეყნის საკეთილდღეოთ.

მაგრამ ძალა მაინც იქაა, ქართველ ერში. დიდი ტანჯვა და დამცირება გამოიარა მან ამ ექვსი წლის განმავლობაში, მტერი მას სხვა ახალ სალტებს უმზადებს მომავალშიც, თუ დასცალდა. თავის შვილთა მრავალი ათასი მსხვერპლი მიიტანა ქართველმა ერმა სამშობლოს საკურთხეველზედ. ჩვენ არ შეგვიძლია აქვე არ ვახსენოთ სიამაყით ის 15 თავდადებული მამულიშვილი: აბხაზი, წულუკიძე, ანდრონიკაშვილი, ხიმშიაშვილი და სხვები, რომელნიც პირველათ შეეწირენ ჩვენს წმინდა საქმეს, დიდების დღის სწორეთ ერთი კვირით წინ, 19 მაისს 1923 წ.

დიდია ბოღმა და გულისწყრომა ჩვენი ერისა მტრის მიერ ჩადენილ ეგზომ დანაშაულისათვის. ერი არ ივიწყებს, ვერ დაივიწყებს ყველა ამას; და თან იცის მან, რომ ეს ძვირფასი მსხვერპლი ორგანიული ხიდია, მის მრავალ-საუკუნიან გმირულ წარსულთან გადებული.

ერი აღსდგა სულით, მისი ხორციელი აღდგომა მხოლოდ დროის, ახლო დროის საქმეა.

საქართველოს დიდებისთვის, მის მთლიანობისათვის, მის აღდგომისათვის—აი რისთვის იბრძვის ქართველი ერი. მას სწამს თავისი საქმე. გასალკდევებული ის იკაფავს ეკლიან გზას გამარჯვებისაკენ, 26 მაისს ამოსულ მზისაკენ.

……

«ჩვენ გავიმარჯვეთ, თქვენ დამარცხდით»

აი ასეთი სიტყვებით მოგვმართავენ ხშირათ ისინი, რომლებიც რუსის ჯარით მოვიდენ საქართველოში და რომლებიც რუსის ჯარის საშვალებით საქართველოს განაგებენ. ამას გაიძახიან ისინი, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპეს, ხალხს თავისუფლება წაართვეს. მათ კიდევ მოძახილს ეუბნებიან ისინი, ვისაც «დღევანდელი კვერცხი ურჩევნია, ხვალინდელ ქათამს».

მაგრამ ერთი ვიკითხოთ, რომელ «გამარჯვებას» დღესასწაულობენ მოწინააღმდეგენი და რომელ «დამარცხებას» გვიკიჟინებენ ჩვენ?!

ფიზიკურ გამარჯვებას თუ გულისხმობთ, მართალი ხართ. მაგრამ ამას ჩვენ თვითონ ვამბობთ და საქვეყნოთ ვამტკიცებთ, რომ რუსის ჯარმა პატარა დემოკრატიული საქართველო მუხანათურათ და ვერაგულათ დაიპყრო.

ამ ძალმომრეობაზე ჩვენ ყველგან ვლაპარაკობთ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გითითებთ, მაგრამ თქვენ მას განზრახ გვერდს უვლით და პირდაპირ პასუხს გაურბიხართ, ვინაიდან იცით, რომ აქ არაფერი სასიქადულო და სატრაბახო არ არის. განსაკუთრებით თქვენთვის, რომლებიც ქართველების სახელს კიდევ ატარებთ!

ამით შეუძლია იამაყოს მხოლოდ მოსკოვს და საერთოთ მათ, რომლებიც «ველიკოდერჟავნიკული» იდეის მატარებელნი არიან. ამისთვის თქვენ, ბოლშევიკებს, ქებათა-ქებას გასძახმენ: რუსი მონარქისტები, «სმენავეხელები», ევრაზიელები და ძმანი მათნი. მაგრამ «წითელ» მოსკოვს იმდენი მოქალაქეობრივი გამბედაობა არ შესწევს, რომ ეს «მადლობა» აშკარათ მიიღოს და საჯაროთ სთქვას, რომ იგი აღდგენს «ერთს დიდსა და განუყოფელ რუსეთს».

ასეთი გულახდილობა მის ფირმას არ შეესაბამება. კრემლის დიქტატორებმა იციან, რომ ის, ვინც ერთა თვითგამორკვევის პრინციპს ქადაგებს, იგი საქართველოზე რუსეთის მიერ ჩადენილ ძალმომრეობას აშკარათ ვერ დაიცავს. ამ მხრით მოსკოვი იმდენათ სუსტი იყო, რომ საქართველოს ოფიციალურათ ომი ვერ გამოუცხადა და მას ქურდულათ დაეცა.

მოსკოვის ძრახვების ამსრულებელნი, მუხანათობისა და ქურდობის ჩამდენნი და სამშობლოს მოღალატენი თქვენ აღმოჩდით. ამ როლში თქვენ გაიმარჯვეთ, აქ არავინ გედავებათ, ეს თქვენი «უდიდესი მიღწევებია» და სანამ რუსის ხიშტი ხელს გიწყობთ, შეგიძლიათ ეს თქვენი «გამარჯვება» იდღესასწაულოთ ისე, როგორც გსურთ. ხოლო, როცა იგი გამოგეცლებათ, მაშინ ქართველი ერი თქვენ «ისტორიულ მოღვაწეობას» აღნიშნავს მეორე შავი ორშაბათით. შეიძლება გაგიგონიათ, რომ ამ დღეს პატარა საქართველო მონღოლთა ყაენმა დაიპყრო და როცა ერმა მისგან თავი გაინთავისუფლა, იგი «შავ ორშაბათათ» და გლოვის დღეთ გამოაცხადა. შავ ორშაბათს ქართველები ყაენს ვირზე პირუკუღმა აჯენენ და ქუჩებში ისე ატარებენ. ასეთ ძეგლს ქართველი ხალხი ყოველ წელს თქვენც დაგიდგამს. ეს თქვენი «გამარჯვებაა».

მაშ რომელ გამარჯვებაზე გველაპარაკებით?! შეიძლება იდეიურათ, მორალურათ დავმარცხდით და გავკოტრდით ჩვენ და თქვენ კი გაიმარჯვეთ?

ვნახოთ.

1918 წ. 26 მაისიდან ჩვენი გზები სავსებით გაშორდენ ერთმანეთს. ჩვენ განვაგრძეთ ჩვენი გზა, და დღესაც ამ გზით მივდივართ. თქვენ კი უარყავით თქვენი ძველი გზა და აირჩიეთ ახალი. მას შემდეგ გზა-კვალი აგებნათ, ყოველ დღე გზების ძიებაში ხართ, 10 წელი გადის და დღესაც ვერ მოგინახავთ. ამიტომ თქვენს ხელში ყველაფერმა მახინჯი და ყალბი სახე მიიღო. ისახავთ მიზნათ ერთს და აკეთებთ მეორეს. ბაბილონის გოდოლის შენება და ენათა არევ-დარევა, აი თქვენი 10 წლის მოღვაწეობის გვირგვინი.

26 მაისს ქართველმა ერმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, დემოკრატიული რესპუბლიკა შექმნა და დემოკრატიული გზით პროგრესისა და კულტურისაკენ წინსვლა განაგრძო. ჩვენ ყოველივე ამის იდეიური და პრაქტიკული ხელმძღვანელები ვიყავით.

საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადებით ჩვენ ქართველი ერის სურვილი შევასრულეთ, ამით სიტყვა საქმეთ ვაქციეთ და ერთა თვითგამორკვევის პრინციპი ცხოვრებაში გავატარეთ.

თუ ეს დანაშაულობაა, მაშინ კეთილი ინებეთ და ამოიღეთ თქვენი პროგრამიდან ერთა თვითგამორკვევის პრინციპი და ჩაგრულ ერთა მოძრაობის ფარისევლურ მეგობრობას თავი გაანებეთ. ან შეიძლება არ იცით, რომ ისეთ მარქსიზმს, რომელიც ერის სეპარაციის უფლებას უარყოფდა, სოციალ-დემოკრატი ლენინი, მარქსიზმის კარიკატურას უწოდებდა და სწერდა: «ერის გამოყოფის უფლების უარყოფა თეორიულათ განუსაზღვრელი სიყალბეა და პრაქტიკულათ გაბატონებული ერის შოვინისტების სამსახურიო».

ჩვენ ეს როლი არ ვიკისრეთ, უცხო შოვინისტებს შევებრძოლეთ, პატარა ერის უფლება დავიცავით. თქვენ კი ჩაგრული ერის უფლებები ფეხქვეშ გათელეთ, ერთა თვითგამორკვევის პრინციპი საქმით უარყავით და ამით რუსეთის «ველიკოდერჟავნიკებს» დიდი სამსახური გაუწიეთ და მარქსიზმსაც უღალატეთ.

აქ ჩვენ გავიმარჯვეთ და თქვენ სავსებით გაკოტრდით.

შეიძლება დამოუკიდებლობის იდეა უნიადაგო გამოდგა, იგი ქართველ ხალხს არ უნდოდა და არ უნდა ეხლაც? მაშ რატომ იღებს ამდენ მსხვერპლს ქართველი ხალხი? რათ არის ციხეები, ჩეკის სარდაფები, ციმბირ-სოლოვკები სავსე მებრძოლებით?

თქვენი ბატონობის ხანაში არამც თუ ვერ ჩაკალით დამოუკიდებლობის იდეა, არამედ კიდევ გაზარდეთ და განამტკიცეთ. მისი აჩრდილი თქვენ მოსვენებას არ გაძლევთ არც მანდ და არც უცხოეთში. და როცა თქვენ ჩაგრულ ერთა თავისუფლების მქადაგებლათ გამოდიხართ, ყველგან გეკითხებიან: «დამოუკიდებელ საქართველოს რა უყავით?» თქვენ მეტი თავის გასამართლებელი საბუთი არა დაგრჩენიათ რა, რომ სთქვათ: «ხიდეებს ვაშენებთ, წიგნებსა ვცემთ, ქარხნებს ვაგებთ და გზები გაგვყავსო».

ჯერ ერთი, რომ ეს თქვენი საქმიანობა, თქვენივე საბუთების მიხედვით, მეტისმეტი საეჭვო ღირსების არის და ასეც რომ არ იყოს, იცით თუ არა თქვენ—ვისი ენა არის ეს? ასეთი ენით ძველი დროის მატარებელი იმპერიალიზმის დამცველები ლაპარაკობდენ და მის მტაცებლობას «კულტურულ მოღვაწეობათ» ასაღებდენ.

და მართლაც, თუ ქარხნის აგება და ხიდის აშენება უმთავრესი და ყველაფერია, მაშინ კეთილი ინებეთ და მთელი საბჭოთა კავშირი ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტებს გადაეცით. დამერწმუნეთ, რომ ისინი თქვენზე უკეთ გზებსაც გაიყვანებენ და ქარხნებსაც ააგებენ. თქვენ არც კაპიტალი გაქვთ და არც ცოდნა-გამოცდილება. მათ კაპიტალიც ბლომათ აქვთ და ცოდნაც შესწევთ. გლეხს ტრაქტორი 5 ჯერ უფრო იაფი დაუჯდება და მუშაც მეტ ხელფასს მიიღებს. ასე ფიქრობს

ყოველ შემთხვევაში თქვენი ბელადი რიკოვი და მე მგონია. რომ იგი მართალია.

მაგრამ რათ გვინდა ასე შორს წასვლა? თუ თქვენი «აშენებლობის თეორია» მართალია. მაშინ რას ვერჩოდით მეფის რუსეთს?! რათ ანგრევთ გრაფ ვორონცოვის ძეგლს თფილისში?! ნუ თუ არ გაგიგონიათ, რომ მან ხიდეები ააგო, გზები გაიყვანა და ქართულ თეატრსაც მფარველობასა და დახმარებას უწევდა? მეფის რუსეთმა მას ამისთვის ძეგლი აუგო, ხოლო ქართველი ხალხი მტრათ თვლიდა მას და ებრძოდა.

ეხლა ვიკითხოთ, რა განსხვავება არის თქვენსა და მეფის მოხელე ვარანცოვის მოღვაწეობას შორის? არავითარი!

და განა ამაზე უფრო იდეურათ გაკოტრება კიდევ შეიძლება. ვინემ თქვენ ამ შემთხვევაში დაგემართათ?!

წინეთ თქვენც იცავდით დემოკრატიას. მაგრამ ეს იყო მანამ, სანამ ძალა-უფლება არ ჩაიგდეთ ხელში. თქვენ თქვენი პრინციპების ცხოვრებაში გატარება ვერ შესძელით, მას უღალატეთ და რომ ეს თქვენი ანტიდემოკრატიული ნაბიჯი გაამართლოთ, მარქსის ავტორიტეტს იმოწმებთ. მაგრამ ერთი გვიბრძანეთ. იცნობდა თუ არა ლენინი 1917 წლამდის მარქს'ს და თუ იცნობდა, რათ ამტკიცებდა: «სოციალიზმი უდემოკრატიოთ წარმოუდგენელიაო»? მარქსისტის მიერ სხვანაირი მსჯელობა მას მარქსიზმის კარიკატურათ მიაჩნდა. ასე უხსნიდა და უნმარტავდა 1916 წელს ლენინი მარქსიზმს პიატაკოვს და იგი სავსებით მართალი იყო ამ შემთხვევაში.

ჩვენ ვიცავდით და ვიცავთ დემოკრატიას, ხოლო თქვენ მარქსიზმის კარიკატურას ამოეფარეთ და ისე ებრძვით მას. ამ შემთხვევაში თქვენთან ერთათ არიან და თქვენ ტაშს გიკრავენ ყველა ისინი, რომელთაც მუშათა კლასის და სოციალიზმის გაძლიერება ძილს უფრთხობს და რომელთაც კულტურა და პროგრესი სძულთ. ყოველი რჯულის რეაქცია დემოკრატიას ებრძვის და თქვენგან მაგალითს იღებს. აი სად მიგიყვანათ დემოკრატიის უარყოფამ, პრინციპების აბუჩათ აგდებამ.

თქვენ დღეს აღარც სოციალიზმი მოგწონთ. თქვენ უღალატეთ იმ სოციალიზმს, რომელსაც მარქს-ენგელსმა ჩაუყარა საფუძველი და რომელსაც ევროპის მუშათა კლასის 90 პროცენტი იცავს. ამ შემთხვევაშიც თქვენ ევროპის მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილს გაეთიშეთ და ფაშებსა და გერმანიის რეაქციონერებს დაუმეგობრდით. ამის შემდეგ თქვენ კიდევ შეგწევთ გამბედაობა, რომ სხვას უკიჟინოთ სოციალიზმის ღალატი!

მაგრამ ერთი გვიბრძანეთ. რომელ სოციალიზმს იცავთ თქვენ? ხომ იმ სოციალიზმს, რომელსაც ბუხარინმა სოციალიზმის კარიკატურა უწოდა? აი, ამ კარიკატურას შესწირეთ თქვენ დემოკრატიზმის პრინციპი, აუარებელი მსხვერპლი და თავისუფლება. საწყენათ ნუ დაგრჩებათ და გულახდილათ ვსთქვათ: თუ კი ლენინის კომუნიზმი სოციალიზმის კარიკატურა იყო, კობას კომუნიზმი ხომ ასჯერ უფრო კარიკატურა არის!

«ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა»-ო. თქვენ კი სოციალიზმის ძველი გზა—დემოკრატია უარყავით, ძველ მეგობრებს—ევროპის მუშათა კლასს ზურგი შეაქციეთ და შედეგათ რეაქციონერების მეგობრობა და სოცილიზმის კარიკატურა მიიღეთ. და როდესაც დღეს ევროპის მუშებს ისევ უწვდით «სამეგობრო ხელს». იგი ჰაერში რჩება გამოკიდებული. აქ გასაკვირალი არაფერია.

თქვენც იცავდით ერთ დროს თავისუფლებას. ჩვენ მისთვის ბრძოლას ეხლაც განვაგრძობთ. თქვენ კი, თავისუფლების დამცველთაგან. თავისუფლების ჯალათათ გადაიქეცით. გადახედეთ, ვისით არის სავსე საბჭოთა კავშირის ციხეები? მუშებით, სოციალისტებით და თვისი სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლებით. ამ ბოლო დროს მათ კომუნისტებიც მიუმატეთ. კრებისა და სიტყვის თავისუფლება მარტო რჩეულ კომუნისტების პრივილეგიათ გამოაცხადეთ. ზინოვიევმა, ტროცკიმ, კამენევმა და მისმა ამხანაგებმა, თვისივე სიცოცხლეში მოიმკეს ის. რაც დათესეს.

აი სად მიგიყვანათ თქვენ. თავისუფლების უარყოფის ლოღიკამ.

და როცა ყველა ამის შემდეგ. თქვენ მაინც გამომდგარხართ და იძახით: ჩვენ გავიმარჯვეთ და თქვენ დამარცხდითო. არ შემიძლია არ გიპასუხოთ ჭოლა ლომთათიძის «1 მაისის» გმირის აგიაშვილის სიტყვებით, რომელსაც ციხის უფროსი დაცინვით ეუბნება: «დამარცხდა რევოლიუცია და აწი ის წელს ველარ აიღებსო», რაზედაც რევოლიუციონერი აგიაშვილი უპასუხებს:

«არა, ბიძია, არ ვართ დამარცხებული ჩვენ. მოკალით ჩვენი რწმენა? მოკალით ჩვენი სიყვარული? მოკალით ჩვენი თქვენსადმი ზიზღი? მოკალით ჩვენი დიდი სურვილი? ტყვია რომ გულში გვარტყით. ბაწარი რომ კისერში მოგვიჭირეთ, ამით მოკალით რომელიმე სურვილი ჩვენი, რომელიც თქვენ არ მოგწონდათ? მაშ, რათ ამბობთ, გავიმარჯვეთო? ვიცანით ჩვენი თავი დამნაშავეთ და პატივება გთხოვეთ? თუ მოგვკალით და აღარ გეშინიათ ჩვენი, მაშ რათ დაუკარგეთ საფლავებს სახელი. ბნელაში რათ ამოთხარეთ ორმო და მერმე რათ გადაასწორეთ ის, რომ დილას არავის ეცნო—აქ ვინმე დაუმარხავთ? და ერთი რამ კიდევ—როცა საფლავებს ეძებენ, როცა საფლავებზე მიაქვთ ყვავილები, როცა საფლავები უყვართ და იქ მიდიან სალოცავათ. შურის ძიების წყურვილის გასაძლიერებლათ, გეშინოდეთ თქვენ იმ საფლავის, ის არ არის საფლავი დამარცხებულისაო».

და რევოლიუციონერი აგიაშვილის ამ სიტყვებს გიმეორებს დღეს, 26 მაისს მთელი ქართველი ხალხი, თქვენ ყველას, რომლებიც მასს ერისა და თავისუფლების ჯალათებათ და «ტიურემშჩიკებათ» მოევლინეთ.

პაქი.

ჩეხია. 28 აპრილი, 1927 წ.

ბოლშევიზმის ნანგრევებზე.

კიდევ ერთი 26 მაისი დატყვევებული უცხოელთა ხიშტებით. ბრძოლა თავისუფლებისათვის მწვავდება და ხანგძლივდება,—ეს ბუნებრივია:—დიდი საქმე დიდ მსხვერპლს ითხოვს. 26 მაისი უდიდესი აქტია. იგი კონკრეტობაა ეროვნული გათვითპიროვნების, თვითდამკვიდრების. თვითდამკვიდრება კი უპირველესი ამოცანაა ცხოვრების. მისი გადაჭრა რჩეულთა, ცოცხლათ და საცოცხლებლათ შობილთა ხვედრია.

ეროვნული თვითდამკვიდრება ეროვნულ ტერიტორიას ითხოვს ეროვნულ სახელმწიფოთ დაფარულს. ეროვნული კერა ეროვნულ პოლიტიკურ ფორმაში, ეს ბუნებრივი და ორგანიულია, შინაგანი ჰარმონიით აღჭურვილი. აწმყოს დამკვიდრებელი, მომავლის კარების გამღები. ყოველივე სხვა არა ბუნებრივი და მექანიურია, შინაგანი წინაალმდეგობებით მოცული, აწმყოს გამანადგურებელი, მომავლის კარების დამხშველი. ერი კარგავს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, კარგავს ყველაფერს. კარგავს საკუთარ თავს. ეს კარგათ აქვს შეგნებული ქართველ ერს. ამიტომ ის იბრძვის ასე ენერგიულათ 26 მაისის განსათავისუფლებლათ და ის გიმარჯვებს, რადგან მტერს არ უჩანს სასიცოცხლო პირი, იგი კვდება. მის ნანგრევებზე ახალი ძალები, ახალი სიცოცხლეები იბადებიან.

26 მაისის ერთად ერთი მტერი არის ბოლშევიზმი და ამაშია ჩვენი იმედი და გამარჯვება. ბოლშევიზმი პატოლოგიური მოვლენაა, პატოლოგიური პირობებით წარმოშობილი. პატოლოგიური ფუნქციების მატარებელი. ცხოვრების საღმა პროცესებმა უნდა დისძლიოს იგი, უნდა განიკურნოს კეთროვან ნაწილებიდან და მისცეს გამოსავალი სასიცოცხლო სახეობათა ფორმაციებს. ეს გარდუვალი კანონია ბუნების.

მაგრამ საკითხავია—როდის მოვა ბოლშევიზმის ფიზიკური აღსასრული?—ძნელია ამის თქმა მით უმეტეს, რომ სიცოცხლე ბოლშევიზმის სამფლობელოში საიდუმლო ფორმებში მიმდინარეობს. რადგან იგი კანონ გარეშეა გამოცხადებული. შესაძლოა ეს თვეების საკითხი იყოს, შესაძლოა წლების, ხოლო ეს კი უეჭვოა. რომ ეს დამხობა იქნება უეცარი. მოულოდნელი. მაგრამ ამ ჟამის მოახლოება საგრძნობი ხდება ხოლმე ზოგიერთ შემთხვევებში.

ცნობილია, რომ ტირანიების დამხობას წინ უძღოდა ხოლმე მორალური გახრწნა. მოიგონეთ რომის ძველი იმპერია, ლიუდოვიკო მეთექვსმეტე, ნიკოლოზ მეორე მისი რასპუტინით და სხვ. გახრწნილება ვერ იფარავს თავს, ის ფართო მასებისთვის დასანახი ხდება და უკანასკნელში იბადება არსებული რეჟიმის ზიზღი და შურისძიების გრძნობები. ამავე დროს მედროვენი, ტირანიის მოხელე-აგენტები, გრძნობენ რა აღსასრულის მოახლოვებას, სულ უფრო და უფრო ბოროტდებიან, უფრო და უფრო დაუნდობელნი და ცინიკები ხდებიან ხალხისადმი, ცდილობენ მეტი წაგლიჯონ არსებულ რეჟიმს, მეტი იგემონ ფიზიკურათ. ფიზოლოგიურათ და ამისათვის აწყობენ ორგიებს. და ამ შენთხვევებში, აღსანიშნავია, უფრო აქტივობას იჩენენ რენეგატები, ისინი, ვინც ბრძოლის პროცესში დნსტოვა პატიოსან მებრძოლთა ბანაკი, განუდგა ხალხს და მიეკედლა მტერს. ეს რენეგატები გრძნობენ, რომ ისინი ორმაგ დამნაშავენი არიან ხალხის წინაშე და რომ ხალხის გამარჯვებისას ორმაგ სასჯელს მიიღებენ, რომ ხალხი მოღალატეთადმი ულმობელი იქნება,—ამას კარგათ გრძნობენ ისინი და მტერთა ბანაკიდან სხვაზე უფრო გაბოროტებით ხალხს სწორეთ ეს რენეგატები ებრძვიან და სხვაზე უფრო აქტიურათ აწარმოებენ წაგლეჯის და დროს მოჭმის პოლიტიკას. აქტიური მტრობა ხალხისადმი მათ აძლევს ფიზიკურ საშვალებებს, ნივთიერ ჯილდოს და სხვა პრივილეგიებს, რომ მდგომარეობა მაქსიმალურათ ისარგებლონ თავიანთი ქვენა გრძნობების დასაკმაყოფილებლათ.

სწორეთ ამ წაგლეჯის პოლიტიკით. დროთი მაქსიმალურათ სარგებლობის პოლიტიკით არის გამოწვეული რენეგატების მიერ გამოცემა თფილისში ჟურნალ «ახალი გზის». ამ ჟურნალის თანამშრომლების სახელები თვით ლაპარაკობენ, თუ რა ნაკლები ხარისხის გამოცემასთან გვაქვს საქმე. აი ეს «თაიგულიც»: ივანე ყაჩუხაშვილი. ივანე გომართელი, ლეო შენგელაია. კ. სულაქველიძე, დ. თოფურიძე. ნ. ელიავა და სხ. ესენი ცნობილნი არიან ჩვენში. როგორც მოვაჭრენი სინდისით. ეს რენეგატები უკანასკნელ ხანებში უფრო გამწარებულნი ყეფენ, რადგან კარგათ გრძნობენ აღსასრულის მოახლოებას და იმ საშინელ სამსჯავროს. რომლის წინაშე მათ პასუხი უნდა აგონ. აბსოლიუტური უიმედობა, გრძნობა აღსასრულის მოახლოვებისა მათ გონებას უკარგავს და უძლიერებს გრნობებს წინდაწინვე შურისძიებისას იმ ხალხისადმი, რომელიც მალე მათი ულმობელი გამკითხავი იქნება. ბოლშევიზმს დღეს ებღაუჭებიან ისინი, ვისაც აწმყო ფეხებიდან ეცლება და მომავლის იმედი სულ დაკარგული აქვს.

როგორც ვსთქვით. ბოლშევიზმი დაეცემა მოულოდნელათ. მაგრამ რა იქნება შემდეგ? ეს საკითხი არა ნაკლებათ საინტერესოა პირველი საკითხისა,—თუ როდის დაეცემა ბოლშევიზმი?

აქ გასარკვევია ორი მომენტი: ფიზიკური და პოლიტიკური. პირველი მომენტის განხილვა ჩვენ განგვიმარტავს—თუ რა რეალობას შეიცავს ბოლშევიზმის შემდეგ მცნება «რუსეთი», მეორე იმ პოლიტიკურ წყობას. რომელიც ამ მომავალ რუსეთზე აღმოცენდება. რუსეთს რევოლიუციამ ბევრი ქვეყნები ჩამოაცილა: ლატვია. ლიტვა. ესტონია. პოლონეთი, უკრაინა. საქართველო. აღერბეიჯანი. სომხეთი. უკრაინა. საქართველო. აღერბეიჯანი და სომხეთი ბოლშევიკურმა რუსეთმა ხელახლა დაიპყრო, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა.

პირველ მოხერხებულ მომენტში რუსეთს ჩამოსცილდება უკრაინა. სეპერატისტული მიდრეკილება უკრაინელებში მეტად ძლიერია. უკრაინელს რომ უთხრათ,—შენ რუსი ხარო—ის ამას უდიდეს შეურაცყოფათ მიიღებს. უკრაინას სურს დამოუკიდებელი, თავისუფალი სახელმწიფო იყოს და ამის ყოველგვარი უფლება და შესაძლებლობაც აქვს. ნებისყოფით მოსკოვი კიევს ვერ დაიჭერს, მხოლოთ ომით. ძალითაა შესაძლებელი მოსკოვმა კიევს თავისი ნებისყოფა მოახვიოს თავს. მაგრამ ძლიერ საეჭვოა, რომ მოსკოვმა იმ გადამავალ. ნგრევის ხანაში შესძლოს კიევთან ომის წარმოება. ამავე დროს თვითგამორკვეულ უკრაინელ ხალხის მხარეზე იქნება აქტიური თანაგრძნობა როგორც საერთაშორისო დემოკრატიისა. ისე ევროპის ოფიციალური წრეების, ასე რომ ასეთ პირობებში მოსკოვის კიევზე გამარჯვება უიმედო იქნება. ამგვარათ რუსეთს ცილდება უკრაინა, ეს ოცდა ათ მილიონზე მეტი ხალხი უზარმაზარი და უმდიდრესი მიწა-წყლით. თუ პოლონეთმა აქტიური როლი ითამაშა ბოლშევიზმის უკანასკნელ წუთებში, საეჭვოა. რომ მან ტერიტორიალური კომპენსაცია არ მოითხოვოს რუსეთის ხარჯზე და ცოტა კიდევ არ წაიწიოს წინ უკანასკნელის შუაგულისაკენ. ბელორუსიაც შეეცდება, რასაკვირველია, გამოეყოს რუსეთს და დამკვიდრდეს როგორც სუვერენული სახელმწიფო, მაგრამ მას, ჩვენის აზრით, ნაკლები შანსები ექნება გამარჯვებისა, რადგან ბელორუსიის როგორც გეოგრაფიული მდებარეობა, ისე სხვა პირობები, არსებულნი როგორც შიგნით, ისე მის გარეთ, არ უწყობენ ხელს ბელორუსიის დამოუკიდებლობას. ციმბირის მდგომარეობა კი სულ სხვაა. მისი როგორც გეოგრაფიული მდებარეობა, ისე ის ეკონომიური როლი, რომელიც მას შეუძლია ითამაშოს თვისი ბუნებრივი სიმდიდრით, ნედლი მასალით. რომელიც იქ უხვათ მოიპოვება, ხდის ციმბირს სადავო ვაშლათ დიდ სახელმწიფოთა შორის. სხვა დიდი სახელმწიფონი მოგების და გამორჩენის საზომით უდგებიან ციმბირს, იაპონიისათვის კი ციმბირი ისე საჭიროა. როგორც წყალი თევზისათვის. იაპონია, კუნძულებზე მოთავსებული. განიცდის საშინელ სივიწროვეს მიწისას. ამასთანავე მუდმივი მიწის ძვრა მოსვენებას არ აძლევს მას, აურებელ ნივთიერ ზარალს აყენებს სახელმწიფოს და ხალხს და მორალურათაც, რა თქმა უნდა, ძლიერ ცუდ გავლენას ახდენს. ამ კულტუროსან ხალხს უნდა მიწა. უნდა არე. რომ გაშალოს თვისი შემოქმედებითი ენერგია და იცხოვროს სულ მოთქმული. ამ საშვალებას აძლევს იაპონლებს ციმბირი, უზარმაზარი და ძლიერ თხლათ დასახლებული ქვეყანა. იაპონიას უეჭველათ მაგრათ უჭირავს თვალი ციმბირისაკენ და სხვა გამოსავალი იაპონიისათვის არც არი. იაპონიას ციმბირი არა ჩვეულებრივათ გააძლიერებს. ეს, რასაკვირველია. არ არის ხელსაყრელი სხვა დიდ სახელმწიფოთათვის,—იაპონია უკვე ძლიერი მოქიშპე კიდევ უფრო გაძლიერდეს, მაგრამ თუ მოხდა შეთანხმება ციმბირის შესახებ დიდ სახელმწიფოთა შორის თვით ტერიტორიის იაპონიაზე გადაცემით, რაც შესაძლებელია. მოსკოვი უძლური იქნება ციმბირი შეინარჩუნოს.

კავკასიის მოსკოვზე ჩამოცილების საკითხი, ჩვენის აზრით, ნაკლებათ რთული საკითხია. კავკასიიდან ერთი მშვენიერი კონფედერატიული სახელმწიფო შეიქნება. ასეთია სურვილი კავკასიის ერების და საერთაშორისო ინტერესიც მოითხოვს კავკასიის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებულია. მისი ბედი არ არის ისე შეკავშირებული რუსეთის ბედთან, როგორც ეს, შესაძლებელია, ზოგიერთებს ეგონოსთ. საქართველო, სულ ადვილად შესაძლებელია. ბოლშევიკურ მოსკოვის დაცემამდენაც აღდგეს. როგორც ეროვნული სახელმწიფო. საქართველოს საერთაშორისო უფლებრივი მდგომარეობა ძლიერ დიდი ფაქტორია ამ შემთხვევაში. საერთაშორისო უფლებრივ მდგომარეობას. გარდა ფორმალურისა, აქვს დიდი მორალური და რეალური ღირებულებაც.

შესაძლებელია აღნიშნულს გარდა მოხდეს კიდევ სხვა ტერიტორიალური ცვლილებანი მოსკოვის ხარჯზე. მაგრამ ყვე ლა ამ ცვლილებათა გათვალისწინება დღეს ძნელია. ერთი ძირითადი ურყევი დებულების წამოყენება შეიძლება: რაც დრო გადის. სულ უფრო და უფრო ძლიერდება ტენდენცია რუსეთის ფიზიკური ტერიტორიალური დაშლისა. ეს დამრღვევი ძალები მოქმედებენ როგორც შიგნით რუსეთში ისე გარეთ. დიდი რუსეთი ისტორიის სავანეში ეშვება. ბოლშევიზმი რუსების ეროვნული უბედურება შეიქნა. ბოლშევიზმა მოუსპო რუსებს ფართო სახელმწიფოებრივი პერსპექტივა და ეროვნული შემოქმედების გასაქანი და რომ ეს ასე იქნებოდა—ეს ხომ ყველა თვალხილულისათვის ცხადი დასანახი იყო. რატომ ვერ დაინახეს ეს რუსებმა? მათვის ეს ძნელი დასანახი იყო, რადგან რუსის ხალხი არ წარმოადგენს ერს. ხალხი, რომლის პრაქტიკული ფილოსოფია «პური და გართობაა», უფრო ბრბოა. ვიდრე ერი. ერს «მეობა» ახასიათებს, რაც რუსის ხალხს არასოდეს ქონია. ბრბოსთვის «წუთიერი» ყველაფერია. «პერსპექტივა» კი არაფერი, ერისთვის კი წინაალმდეგ. ამ უპერსპექტივობამ წარმოშვა ბოლშევიზმი და წესი აუგო დიდ რუსეთს. რუსეთი დაიშალა. საქართველო აღსდგა. ძვირად ჯდება თავისუფლება. მაგრამ ცნობილია, რომ დიდი საქმე დიდ მსხვერპლს ითხოვს.

შესაძლოა ეს უკანასკნელი 26 მაისი იყოს მოსკოვის ტყვეობაში. რუსეთის ცაზე ძლიერ მოღუშულია.

მზათ უნდა ვიყოთ ყოველ მოსალოდნელ მომენტისათვის.

ილია ნუცუბიძე.

ჩინგის ყაენის სამკვიდრო.

ოდესღაც ვალდეკ-რუსომ ემბერების სისხლის სამართლის საქმეს «საუკუნის უდიდესი ავაზაკობა» უწოდა. დღეს როგორღაც არსადა სჩანს მეორე ისეთი ფრანგი, რომელიც უფრო მეტი საბუთით და უფრო დიდის რიხით ბოლშევიკებზედაც ამას იტყოდა. პირიქით, ანატოლ ფრანსი. რომენ როლენი და სხვანი, კაშენებზედ, ვაიან-კუტურიეზედ რომ არა ვსთქვათ რა. ბოლშევიზმს მამა შვილურის დაყვავებით შეხვდნენ და, ჩეკას საკმაოდ დაშორებულნი, ფიქრობდნენ, რომ ბოლშევიზმი თუმცა სიროკოა, რომელიც მთელ კაცობრიობას ოფლს ასხავს, მაგრამ მაინც ნიავია, რომელიც ომისაგან გახურებულ ევროპას შუბლს განუგრილებს.

ანატოლ ფრანსმა დახუჭა თავისი მისანი თვალები და არსაიდგანა სჩანს. რომ სიკვდილის წინაც ბოლშევიზმზედ ფიქრობდა. არ გაუმართლდათ ბოლშევიკური იმედები იმათაც, ვინც ჯერ არ დახოცილან. ევროპაში ბოლშევიზმს რენეგატი უფრო მეტი ჰყავს დღეს, ვიდრე მიმდევარი. მაგრამ კრემლის დარდიმანდებს ეს ამბავი აინუნშიაც არ მოსდით და თავის საქმეს ბეჯითად აკეთებენ. რატომ?

არსებობს ოცდათვრამეტი განმარტება, როგორი უნდა იყოს რევოლიუცია და საუკეთესოც მათში არაფრად არ ვარგა. ბოლშევიზმი უკანასკნელია მათში. ბოლშევიზმი არ არის ფიქრი მოწინავე პიროვნებისა. ის არის ბუნება ჩამორჩენილი ადამიანისა. არც ის არის შემთხვევითი, რომ იგი რუსეთიდგან დაიწყო. არ არის საკვირველი ისიც, რომ მისი მეთაური ლენინი იყო. «მსოფლიო რევოლიუციის ბელადის» დაბადების ორმოცდაათი წლის თავზედ, მასწავლებლის სადიდებლად შეგირდებმა ცალკე წიგნი გამოსცეს. მადლი უფალს, სწერდა ხალხი, რომელიც მართლა იცნობდა მის ცხოვრებასაც. მაგრამ ერთსაც ვერ წამოცდა ისეთი რამ შესანიშნავი, ან მის ხასიათში, ან მის ცხოვრებაში, რაც ამ კაცის მართლა მაღალ ღირსებაზედ ლაღადებდეს. სხვაზედ მოსწრებული ისევ ჩვენებური მიხა ცხაკაია გამოდგა და «მცხოვანი» ქართველი ბოლშევიკი, სულ ეს არის ამ ბოლო დროს სწერდა, როგორც ფრიად ღირსშესანიშნავ წვრილმანზედ, რომ ლენინი პარიზის კომუნაზედ ერთი წლით ადრე დაიბადაო. ვერაფერი «ნიშანია»! ერთი წლით ადრე—ერთი წლით გვიან—ასე ყველა იბადება. მოკლედ ლენინის გოროსკოპი ღარიბია და უჩვეულოს არას შეიცავს.

მაშ ვინ არის ლენინი? ბუნებამ ერთი წუთით დაივიწყა მიზანშეწონილობა და ლენინი იშვა!.. ყველაზედ შესანიშნავი და ლენინის უფრო დამახასიათებელი ის არი, რომ ლენინი ევროპიელი არ იყო და ევროპიულ საქმეს მოეკიდა. სოციალიზმი განსაკუთრებით ევროპიული მოვლენაა. მისი განხორციელება ან მხოლოდ ევროპაში და ევროპიულის მეთოდებით შეიძლება, ან არსად და არასგზით, ლენინს ეს არ ესმოდა და სოციალისტური რევოლიუცია რუსეთიდგან დაიწყო. უფრო დიდი შეცდომა მისი ის იყო. რომ განიზრახა რა სოციალიზმი, წაეჩხუბა ევროპის ყველა სოციალისტებს, რევოლიუციის «დიდმა» ტაქტიკოსმა უკეთესი ვერაფერი მოიგონა. ვიღა მოახდენდა ევროპაში რევოლიუციას?! მაგრამ ამაზედ გასაოცარი კიდევ ის იყო. რომ ამის შემდეგაც ევროპის რევოლუციის იმედი ჰქონდა და დაემართა ის, რაც დაემართა მელას, რომელიც ცხვარს აედევნა: არიქა, დუმა დავარდებაო! ომისგან კურტუმ შექნეულ ევროპას დუმა არ დავარდა და მაშინ ბოლშევიზმი დედა-ბუდიანათ აზიაში გადაბარგდა.

აზიელი აზიაში წავიდა!

მაგრამ რას ნიშნავს ევროპიელობა, ან აზიელობა ამ საკითხში? ორმა თანამედროვე პირმა, ერთმა ზედმეტად ევროპიელმა, მეორემ ზედმეტად ბოლშევიკმა გასაოცარის სიმკვეთრით გამოხატეს, რა არის ან ერთი, ან მეორე. «ვიბრძოლებთ პარიზის წინ. პარიზში და პარიზის იქით და არ დავერიდებით ისტორიულ ძეგლებს!» ასე სთქვა ჟორჟ კლემანსომ. როცა გერმანელები პარიზს აწვებოდნენ და მოხუცი კელტი საფრანგეთის ბედსა სწყვეტდა და სწორედ ამ «არ დარიდებაში» გამოსჭვივის ევროპიელობა კლემანსოსი, ბრწყინვალე საუკუნე საფრანგეთის ისტორიისა.—«ლაპარაკობენ ჩვენს წასვლაზედ. მაგრამ თუ წავედით, ისე გავირახუნებთ კარებს, რომ მთელი რუსეთი აზანზარდება!» ეს სიტყვები ეკუთვნის ტროცკის და უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, რომ ტროცკი ფრაზის ცუ-

ეროვნული

დი ოსტატია. ტროცკი სხვა რამეში სცდება. ბოლშევიკებმა შეინარჩუნეს კარები და რუსეთიც აზანზარდა მაშინ როცა ისინი მოვიდნენ. გამოსარახუნებელი აღარაფერი დარჩა. მაგრამ აი, მაინც, ორი ნუანსი, ორი სტილი. ორი ადამიანი, ორი აღზრდა—სადაც განსხვავება მდგომარეობს იმაში. რომ კაცობრიობის ნამდვილ საუნჯეთ კლემანსოს სწორედ ეს წარსული, სწორედ ამ საუკუნეთაგან დაგროვილი ისტორიული დოვლათი მიაჩნია, როცა თვალამღრეული ტროცკი, ბურუსში გახვეულ და სათუო მომავლისათვის მთელ აწმყოსა და წარსულს ლეწავს. ამიტომ როცა ლენინის გოროსკოპის ნიშნებს ევროპის ისტორიაში ეძებენ, თუნდაც პარიზის კომუნაში, ესა ნიშნავს—ქურქი იქ წამოისხა. სადაც არ მოგიხდია.

ამბები და ნიშნები, ლენინის დაბადებასთან «დაკავშირებული», გლობუსის სხვა ფარდში უნდა ვეძებოთ. ღმერთმა უწყის, რა მოხდა იმ დღეს, ვოლგასა და ურალს შორის. როცა ლენინი დაიბადა. ლეგენდებს გვიან წააწყდებიან ხოლმე და როცა ვერ ნახულობენ, უბოდიშოთ სთხზავენ. ამასაც მოვესწრებით. მაგრამ არ არის აუცილებელი ახლავე ვიცოდეთ, რომ ლენინის დაბადების დღეს, ვინმე ყირგიზის ბაკში ისეთი ცხენი დაიბადა, რომელსაც მეხუთე და მეექვსე ფეხი ნესტოებში ება. ჩვენთვის ისიცა კმარა, რომ ბოლშევიზმი დღეს სწორედ ასეთ ყირგიზულ ცხენზედა ზის და ცხენმაც იგი ძალიან შორს გააჭენა, იქ. მონგოლებში და თურანელებში, სწორედ იმ რასებში, რომლებმაც მოაწყეს უკანასკნელი დიდი შემოსევანი მცირე აზიისა და ევროპის ცივილიზაციებზედ, ბოლშევიზმმა თავისი ნამდვილი ასპარეზი ნახა.

კაცობრიობის ამ «წიაღთაგანში» ისევ რაღაც მზადდება. ვულკახი, რომელიც ჩამქრალი გვეგონა, ისევ ბოლავს. შვიდი საუკუნის წინედ ამ ვულკანმა უშველებელი თქეში ამოუშვა, წალეკა წინა აზია და უწია ევროპას. ევროპა გადარჩა მაშინ. მაგრამ არა იმიტომ. რომ მონგოლებზედ ძლიერი აღმოჩნდა. გადარჩა, რადგანაც მაშინდელი მონგოლური ძალა კაცობრიობას ვერ გასწვდა. მონგოლები უკან წავიდნენ. მაგრამ ვერავინ შეამჩნია მაშინ, რა შენაძენი იშოვა მაშინ მონგოლობამ და როგორ გაიზარდა მისი ძალა. ეს იყო უშველებელი ველი, დასახლებული მრავალრიცხოვანი და მაგარი სლავიანური ტომით, მაშინაც და ეხლაც რუსეთად წოდებული. გარეგნულად ისინი ამ რუსეთიდგანაც წავიდნენ, მაგრამ იმდენი მონგოლური რამ დატოვეს აქ, ისეთი პლაცდარმი შეიძინეს ევროპის გვერდით, რომ ფსიხოლოგიურად მონგოლეთი დღეს უფრო ახლოა ევროპაზედ, ვიდრე მაშინ, როცა ჩინგის ყაენი ევროპის კედელთან იყო ატუზული. ამ მონგოლური აზიის სათავეში დღეს ეს რუსეთი სდგას და მადამ დე სტალი, რომელიც ამბობდა, რომ მოსკოვი რომია, მაგრამ თათრული რომიო, ყველა ჩვენ მაგივრად ამბობდა მართალს.

ბოლშევიზმს მხოლოდ პირველ დღეებში შეეძლო ჰგონებოდა, რომ იგი ევროპიული სოციალიზმია, მაგრამ ამ შეცდომაზედ თითონ ევროპამ აუხილა თვალი, როცა რევოლიუციაში არ გაჰყვა, ევროპამ ერთხელ კიდევ ითამაშა ამ რიგად მასწავლებლის როლი, მაგრამ ამ ჟამად თავისთვის და არა შეგირდისთვის, შეგირდი ხელიდგან გაუძვრა. ამ ევროპიული სოციალიზმისაგან გაცარცვნილი ბოლშევიზმი დღეს უფრო ბუნებრივია და თავის ქერქში გამოიყურება, ვიდრე მაშინ, როცა სოციალიზმზედ ბოდავდა. იქ, აღმოსავლეთში, ადამიანის ჯიშების ამ ვულკანების ქვეყანაში—ბუდობენ იდეები და მისწრაფებანი, რომლებიც უფრო ადვილად განსახორციელებელნი არიან, ვიდრე სოციალიზმი და ჩინეთის უკანასკნელი ამბები მოწმობენ, რომ თავისი ამოცანები ბოლშევიზმს დღეს უკეთ ესმის, ვიდრე გუშინ. მონგოლების ახალი საფრთხე ფანტაზია არ არის. ფანტაზია და ფრაზეოლოგია იყო სოციალური რევოლიუცია, რომლის გულისთვის ბოლშევიკებმა ამდენი ხალხი ქლიტეს. მალე მიხვდებიან, რომ ეს ქლეტა ზედმეტი იყო. მეტი იყო რადგანაც სწორედ ამ დახვრეტილი ხალხის ძმებმა და იდეურმა მახლობლებმა შეჰქმნეს, ჩვენს დღეებში, ახალი თეორია «ევრაზიელებისა», რომელიც დარბაისლურად ამტკიცებს, რომ პეტრე დიდის რუსეთი გძელი მოსაწყენი ისტორიული პუფი იყო და რომ რუსეთი მუდამ ჩინგის ყეენის სამკვიდრო ყოფილა.

მოდი და ალტაცებაში ნუ მოხვალ!

რა დამოკიდებულება აქვს ყოველსავე ამას საქართველოსთან? უნდა ქართული ისტორია გადავშალოთ. ეს ისტორია გვეტყვის, რომ მონგოლები ცამეტჯერ იყვნენ საქართველოში და დღევანდელი ბოლშევიკური ოკუპაცია ერთით კიდევ მეტია იმ თარეშებში, რომელიც მონგოლობამ ჩაიდინა საქართველოს მიმართ. იგივე ისტორია გვეტყვის, რა სადა სისტემა იყო, არსებითად, ეს მონგოლური ურდო, ან უკეთ რომ ვსთქვათ—ურდოები და როგორა ჰგავს დღევანდელი ბოლშევიკური სისტემა «ფედერაციებისა» და «კავშირებისა» ამ ურდოებს. დანაწილებულ და კიბე-კიბეთ აწყობილს. რომლის ბოლო საფეხური მაშინ ყარაყორუმში იყო და დღეს მოსკოვშია. დადიოდნენ ქართველები ყარაყორუმშიაც. როგორც დადიან დღეს მოსკოვში და ერთი ევროპიელი მოგზაური მოგვითხრობს, როგორ დაესწრო ერთ ჭიდაობას ყახანის (ყეენის) კარზედ, სადაც ქართველმა ფალავანმა მონგოლს აჯობა. რისთვისაც მონგოლებს ქართველების აკლება უნდოდათ. კრემლში. სადაც, ყველას თქმით, ნახევარი ჯალაბი ქართველებისაგან შესდგება, ასეთი სცენები უფრო ხშირი უნდა იყოს. თუმცა სხვანაირად. მაგრამ ქართველების ფალავანმა ჯულაშვილმა კიდევ «აჯობა» სხვებს.

ისტორია გვიამბობს აგრეთვე, რომ სოციალური ნაშენობა ამ მონგოლური სახელმწიფოსი ემყარებოდა პრიმიტიულ თანაბარობას და ეს თანაბარობა მდგომარეობდა იმაში, რომ ყველა ერთნაირად ყარდა კუმისით და დამარილებულის ცხენის ხორცით. სახელმწიფო მისდევდა მხოლოდ ხარკის სისტემას. ხარკს ადებდნენ ყველაფერს—კაცს. ქათამს. მცენარეს და ქართველებმა მოსპეს როგორც ცხოველის. ისე მცენარის მოშენება. საკუთარი თავის დასამალავად კი შემოიღეს მიწური სახლები. მანამდე უცნობი ქვეყანაში. სადაც სტრაბონის სიტყვით, სახლები კრამიტით იყო გადახურული. მხოლოდ გზებს აქცევდნენ მონგოლები დიდ ყურადღებას და ჰქონდათ ჩინებულად მოწყობილი ფოსტა, ასე საჭირო ისეთი ფისკალური სახელმწიფოსათვის, როგორიც იყო მონგოლების იმპერია.

ესეც ბევრ რამეში ჰგავს დღევანდელ ბოლშევიზმს!

მაგრამ ვერც კუმისმა და დამარილებულმა ცხენის ხორცმა. ვერც მონგოლურმა სიყვითლემ ვერ შესცვალა თეთრი და კეთილშობილი ქართველი რასა. ქვეყანა ვაზისა და ჯიხვისა. ვიდრე მონგოლები საქართველოში იყვნენ. ქართველები ებრძოდნენ მათ და მარტო ბაგრატ მეოთხის და ცოტნე დადიანის მაგალითი რათა ღირს! ხოლო როცა წავიდნენ—ქართველებმა შეჰქმნეს თავისი შესანიშნავი «ყეენობა», ეს წმინდა ქართული კარნავალი. ისტორიულად მოსაზრებული და არტისტიულად ნათამაშევი. რომელშიაც გამოჩნდა მთელი ჩვენი ხასიათი. თვისება მეომარისა და შინა კაცისა. ერისა და სახელმწიფოსი. ეს არის, თუ გნებავთ, პირველი ჩვენი პიესა. დრამატიული ნაწარმოები, შექმნილი ხალხისაგან და მისგანვე ნათამაშევი. სადაც ყოველივე მონგოლური საშვილიშვილოდ დაგმობილია.

ბოლშევიკები მოვიდნენ სწორედ იმ დროს. როცა ეს დიდი პიესა დავიწყებას ეძლეოდა. არა ღირდა. რომ ბოლშევიკები ამის მოსაგონებლად მისულიყვნენ. ისევ ავარდა ოშხივარი ქართულ სისხლს. ისევ გაიკაფა ვაზი. ბევრი მოხვდა ქათმებსაც. მაგრამ რაკი მონგოლები დაბრუნდნენ. ქართველებმა «ყეენობა» უნდა მოიგონონ...

შ. ამირეჯიბი.

«PROMÉTHÉE»

გამოვიდა პე 6 ნომერი «პრომეთესი». ეს პატარა ყოველთვიური ჟურნალია, შეიცავს სულ 32 გვერდს; ზედ ახატია კავკასიის მთაზე მიჯაჭვული პრომეთე, ქვეშ მიიშლება ლამაზი და ნოყიერი ხევი, შორს ამოდის მზე და მისი პირველი შუქი უკვე ანათებს მთების მწვერვალს. ამ სურათს ქვეშ აწერია: «კავკასიის და უკრაინის ერთა განთავისუფლებისათვის».

თუმცა ეს სურათი და ეს ზედწარწერა თავის თავად მეტყველია და მკვეთრი, მაინც მეტი არ იქნება ვიკითხოთ: რა არის ეს ფრანგული გამოცემა? რა პოზიცია უჭირავს იმას? რა მიზანს ემსახურება?

⁂

როგორც ეხლა ყველამ უწყის, არის ორნაირი მიმართულება, ეხლანდელი დედამიწის ზურგზე გადადის ორნაირი ტალღა: ერთი არის—ბოლშევიკური, მეორე—ეროვნული.

ბოლშევიკური მიმართულება შეიძლება შევადაროთ იმ ტალღას. რომელიც ატყდება ხოლმე ტბაში. როცა იქ ქვასა გადაისვრი: იგი შეირყევა პატარა რგოლივით, თანდათან ფართოვდება და იშლება ტბის პირის გასწვრივ—ჰორიზონტალურად. ასეთი ტალღა ატყდა მოსკოვში და ამ ცენტრიდან დაიწყო დენა კონცენტრიული რგოლებით ყოველ მხრისაკენ. იმან წალეკა უკრაინა, დაიპყრო ჩრდილო კავკასია. შემოიჭრა აზერბეიჯანში, დაანგრია საქართველო... იგი უარჰყოფს ყოველ ერს. სჭრის ორ ნაწილათ ეროვნულ ორგანიზმს ვითომდა მშრომელი კლასის განსათავისუფლებლად და მიაქვს მისი მაწა-წყალი, მისი სიმდიდრე.

მეორე მიმართულება—ეროვნული იდეოლოგია—სულ სხვანაირია. თუ შედარებაზე მიდგა, ესეც შეიძლება შევადაროთ არა ტბის ტალღას. არამედ მზეს, რომლის შუქი მოდის ზევიდან ქვევით და იშლება ვერტიკალურად. იგი ერთნაირად ეფინება დედა-მიწას და ერთნაირად ანათებს იქ ატეხილ ცხოვრების სხვადასხვაობას.

«ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა», ამბობს რუსთაველი. ქვეყანა მართლა უთვალავია ფერითა და ყოველი ერიც წარმოადგენს ამ «ფერთა უთვალაობას» ეკონომიურად, გონებრივად, ზნეობრივად. ყოველი ერი საიდუმლო და ამოუწურავი მოვლენაა ნიჭის და გენიალობის. ის უნდა განვითარდეს, გაიშალოს თავისუფლად—თავისუფალი ცის ქვეშ, მისი გახეთქა—მკვლელობაა, მისი დამონება—დანაშაული კაცობრიობის წინაშე. მისი თავისუფლება—წმიდაა და ხელშეუხებელი, მისი ტერიტორია—შეუვალი.

ამ პოზიციაზე ჰდგას «პრომეთე».

⁂

«პრომეთეს» პირველი მიზანია მთელი კავკასიის განთავისუფლება. შედგა წრე კავკასიის ერთა წარმომადგენლებისა: საქართველოს, აზერბეიჯანის და მთიელებისა. ამ წრეს მალე შემოუერთდა უკრაინაც და უერთდება ეხლა თურქესტანიც. ამნაირად გაფართოვდა და განმტკიცდა კავშირი რუსეთის იმპერიალიზმის მიერ დაპყრობილი ერებისა. ამ შეთანხმებულ მუშაობამ უნდა დაუმტკიცოს ევროპას და მთელ განათლებულ კაცობრიობას, რომ ეხლანდელი რუსეთის დაშლა—აუცილებელი შედეგია მსოფლიო განვითარებისა და აუცილებელი პირობა მსოფლიო მშვიდობიანობისა. დიდი ომით დაღლილს და დანგრეულ ევროპას მართლა ესაჭიროება მშვიდობიანი ეკონომიურ ცხოვრების აღდგენა და განვითარება. აქეთკენ არის მიმართული ყველა მოწინავე პირების ცდა და მუშაობა. ეხლა ყველა ნათლად ხედავს, რომ უშველებელი რუსეთის გამოთიშვა მსოფლიო ეკონომიკისაგან და მისი დაუცხრომელი მუშაობა მსოფლიო კულტურის და მშვიდობიანობის წინააღმდეგ აუტანელია და მიუღებელი. მისი გადაწყვეტა კი შეუძლებელია, თუ არა ერთი გზით—დამონებულ ერთა განთავისუფლებით. ამნაირად მსოფლიო კონიუნკტურა ხელს გვიწყობს. ჩვენი ვალია—არ მოვაკლოთ ჩვენი ცდა და სიფხიზლე.

⁂

ამ ცდისა და სიფხიზლის ნიშანია «პრომეთე». ყველა მაში დაბეჭდილი წერილი შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: ერთი რიგი წერილებისა ამტკიცებს, რომ აღარ არის ძველი რუსეთი არც ტერიტორიალურად, არც მისი პოლიტიკურ და სოციალურ შინაარსით. ეხლანდელი რუსეთი სულ სხვაა: იგი უშველებელი ბანაკია, ყოველთვის სამტროდ განწყობილი ევროპისადმი. იგი უარჰყოფს უფლებას, სარწმუნოებას, ოჯახს სამშობლოს და ემუქრება დამხობით და განადგურებით ეხლანდელ კულტურულ წესწყობილებას. თვით რუსის ხალხის პსიქოლოგია არ ეგუება ამ კულტურას. რუსეთი, მთელი წარსულ საუკუნოების განმავლობაში, შორს იყო და განზე დარჩა იმ გზიდან, სადაც გაიშალა და მიდიოდა მსოფლიო ცივილიზაცია. მხოლოდ უკანასკნელ ხანას (პეტრე დიდიდან) ის დაუახლოვდა ცოტად ევროპის კულტურას, მაგრამ მსოფლიო ომმა და რევოლიუციამ უკვე გააბნია ყოველი ილლიუზია იმის შესახებ, თუ რამდენად შეითვისა იმან სული ევროპის კულტურის და ცივილიზაციისა. მისი ბუნება არ გარდაქმნილა. დარჩა ისევ ველური და თავის ველურობას მისცა კიდეც თეორიული გამართლება და საფუძველი: ბოლშევიზმი.

⁂

მეორე რიგი «პრომეთეში» მოთავსებულ წერილებისა შეეხება დაპყრობილ ერებს. უნდა დავანახოთ ევროპას სიმართლე და სინამდვილე. საქართველო, აზერბაიჯანი, მთიულეთი. უკრაინა—ეს სულ სხვა ქვეყანაა, სულ სხვა ხალხია, სხვა ენით, სხვა წარსულით, სხვა კულტურით და სხვა მისწრაფებით. ზოგი ამ ქვეყნებისა არამც თუ იდგა მსოფლიო ცივილიზაციის მსვლელობის გზაზე, არამედ ძალიან ხშირად თვითონ ღებულობდა უშუალო მონაწილეობას ამ ცივილიზაციის შექმნაში. მათი ბუნება დიდი ხანია გარდამქნილია ამ ცივილიზაციის ძალით და მოსკოვის ველურობას ისე ეწინააღმდეგება, როგორც ბუნება ყოველ განათლებულ ევროპიელისა. მათი უფლებრივი შეგნება ისეთია, როგორც ევროპიელისა, იდეა სამშობლოსი—ძვირი და სათაყვანო. თავისთავათ ცხადია. მოსკოვის იმპერიალიზმს უნდა მოეღოს ბოლო და ყველა ამ ხალხებს მიეცეს შესაძლებლობა თავისუფალი განვითარებისა. ამით განმტკიცდება საერთო მშვიდობიანობა და გაფართოვდება არე შრომის და საერთაშორისო სოლიდარობისა. ამიტომ ჩვენი მოთხოვნა არ არის ხელოვნურად მოგონილი, იგი სინამდვილეა, იგი ემყარება უფლებას, იმას გვერდს ვერავინ აუხვევს: ეს გახლავს—დამოუკიდებელი საქართველო, დამოუკიდებელი უკრაინა. აზერბეიჯანი და ჩრდილო კავკასია. თუ ეს მოთხოვნა ემყარება უფლებას და ეთანხმება მსოფლიო ინტერესს. მისი განხორციელებაც უეჭველია.

⁂

ჩვენი უბედურება ის იყო, რომ ჩვენ დაქსას[illegible] განთავისუფლების დროს ჩვენ მკვირცხლად შევუდექით ეროვნული ცხოვრების ალნაგებას, მაგრამ სამწუხაროთ ვერ მოვასწარით ძმურად დაახლოვება მეზობელ ერებთან. ჩვენ—საქართველო, აზერბეიჯანი. მთა, უკრაინა—ცალცალკე ვიყავით. ცალცალკე ვიბრძოდით და ამიტომ ყველანი დავმარცხდით. ამ მწარე გაკვეთილმა ყველას ჭკუა ასწავლა. პარიზში თავმოყრილი არიან უკეთესი წარმომადგენლები თავიანთ ქვეყნებისა, უკეთესი მატარებელნი თავიანთ ერის გულის ნადების და იმედებისა. აქ იკვანძება ყველა ძაფი ძმური შეთანხმების და მიზან-შეწონილი შრომისა: უკრაინა და კავკასია ერთად უნდა მოწყდნენ მოსკოვის ბარბაროსობას და ერთად შემოვიდნენ «ერთა საზოგადოებაში», როგორც დამოუკიდებელნი სახელმწიფონი. ჩვენ ვიცით რა ძლიერია ეროვნული მოძრაობა უკრაინაში. კავკასიის მთებზე მიჯაჭვული «პრომეთე» გულის ცახცახით თვალყურს ადევნებს ამ მოძრაობას და იმედით აღსავსე გაჰყურებს შავი ზღვის სივრცეს, საიდანაც დღეს თუ ხვალ აღმობრწყინდება განთავისუფლების მზე.

ეს დღე შორს არ არის.

ამ მიზანს ემსახურება «პრომეთე».

ბ. ჭავახავა.

მათი კავშირი და ჩვენი.

ამიერ კავკასიის საბჭოთა ყრილობაზე მოხსენება გააკეთა მ. ორახელაშვილმა კომისართა მუშაობის შესახებ; როგორც წესია ბოლშევიკური, ილაპარაკა უაღრეს მიღწევებზე თუ ეკონომიურ, თუ პოლიტიკურ, თუ კულტურულ დარგში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეროვნულ საკითხის საუცხოვო მოწესრიგებას ა. კავკასიის ფედერაციის დაარსებით. და ამ ფედერაციის მნიშვნელობას ყველაზე უფრო თურმე ის ადასტურებს, რომ დღეს «ჩვენი მტრებიც» კი იძულებულნი არიან აღიარონ მისი აუცილებლობა. «შეიძლება ითქვას. ბრძანა მ. ორახელაშვილმა: რომ ჩვენი ფედერაციის აუცილებლობის და მიზანშეწონილობის უკეთესი აღიარება წარმოუდგენელია. ვინაიდგან რაკი თვით მტრები აუცილებლად სცნობენ ამიერ კავკასიის ხალხთა თანამშრომლობის ამ ფორმას. მე ვფიქრობ. რომ ეს არის ყველაზე უფრო უტყუარი აღიარება იმ საქმის სიმართლის, რომელიც ა. კ. მშრომელებმა დაიწყეს ხუთი წლის წინ, დაარსეს რა ა. კ. სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკა».

ბ. ორახელაშვილს კვერი დაუკრა შ. ნუცუბიძემ და სთქვა: «სავსებით მართალი იყო მომხსენებელი, როდესაც განაცხადა, რომ პოლიტიკური ცხოვრების იმ ფორმის საუკეთესო ატესტაციას. რომელშიდაც ამჟამად ნორმალურად ვითარდება ა. კ. ერთა ცხოვრება, წარმოადგენს საზღვარ გარეთ გარდახვეწილ ემიგრანტების ცდა—შექმნან იქ ა. კ. ერებისათვის პოლიტიკური ცხოვრების ასეთივე ფორმა».

რასაკვირველია, ეს ორივე განცხადება სრულ სიყალბეზეა აგებული და სინამდვილესთან მათ საერთო არა აქვთ რა. კავკასიის ერების შეთანხმების და შეკავშირების საჭიროების შეგნება საქართველოს დამოუკიდებლობის დროსაც არსებობდა. ხოლო მას არ დასცალდა თავის ნორმალურ განვითარებამდე მიეწეულიყო. კავკასიის ერთა კავშირის საჭიროება საჯაროთ იყო აღნიშნული ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს. საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ უცხოეთში და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებმა უფრო ადრე გამოსთქვეს აზრი კავკასიელ ერების კავშირისა. ვიდრე ამას იფიქრებდენ მოძალადე ბოლშევიკები. და კავკასიის კონფედერაციის იდეა საერთოდ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის არსებობდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ა. კავკასიის და საქართველოს დღევანდელი ბატონები პოლიტიკურ ანბანზე იდგნენ.

გადაჭრით და სრულიად მოურიდებლად ვაცხადებთ, ჩვენ ვიცავთ ერთა კავშირის აუცილებლობას, და იმიტომ ყოვლის უწინარეს, რომ ჩვენ ვართ უდიდესი მოტრფიალენი ეროვნული თვითარსებობის, და ერთა შეთანხმება და კავშირი მიგვაჩნია უმტკიცეს გარანტიად ეროვნულ თავისუფლებისა და განვითარებისათვის. დღევანდელი კაცობრიობა ორს გარდაუვალ კანონს ემორჩილება: ერების სუვერენობას და ერების დაახლოვებას. როგორც პიროვნების განვითარება და საზოგადოებრივობის გაძლიერება დამახასიათებელია ჩვენი დროის, ასეთივეა ერების დამოუკიდებლობის აუცილებლობა და მათი დაახლოვების და შეკავშირების საჭიროება. ჩვენთვის ეროვნება უძლიერესი იარაღია პროგრესის, ვიცავთ მთელის ჩვენის არსებით მის თავისუფლებას, რომლის გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია ხალხის რაიმე წარმატება. ჩვენ ვემყარებით ეროვნულ შემოქმედებას, მის დაუშრეტელობას, მის საგანძურს და აქედან სრულიად ლოღიკურად ვიცავთ ერთა თანასწორ უფლებიანობას, სოლიდარობას, კავშირს. ჩვენ ვართ ნაციონალისტები, ამ სიტყვის უკეთილშობილესი მნიშვნელობით. და ამიტომაც ვართ ინტერნაციონალისტები. და ამ შემთხვევაში თამამად შეგვიძლია განვიმეოროთ ჟორესის სიტყვები. რომელმაც სთქვა: «მცირე მამულიშვილობა ინტერნაციონალს გვაშორებს, დიდს მამულიშვილობას კი იმისკენ მივყევართო.»

მაშასადამე ვინც ერების კავშირს ქადაგებს, ის ჯერ ერს, ეროვნებას უნდა სცემდეს პატივს. და განა ბოლშევიკების სამეფოში ერი აბუჩად არაა აგდებული, ეროვნება ცრუმორწმუნოებად არაა გამოცხადებული და მთელი მათი ეროვნული პოლიტიკა არაა მხოლოდ თვალთმაქცობა და სიცრუე? და რა უფლებით შეუძლიათ მათ გამოვიდნენ ერების თანამშრომლობის მომხრეებად და თავიანთი «ფედერაცია» გვერდში ამოუყენონ ჩვენს სუვერენულ და თანასწორ უფლებიან ერთა კავშირს? ჩვენ არა ერთხელ გვქონდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე აღნიშნული სრულის დასაბუთებით მთელი უმსგავსობა ბოლშევიკების მოღვაწეობისა ეროვნულ საკითხში და სიტყვის გაგრძელება აქ საჭირო არაა. მდგომარეობა უცვლელია: ქართველი ერი საქართველოში უცხოელია, ქართული ენა და კულტურა თავის ქვეყანაში მეორე ხარისხოვანია—ამას ადასტურებენ კომუნისტების გაზეთების უკანასკნელი ცნობები: ოსეთში ქართულის დევნაა, აფხაზეთში, სადაც რუსობა 5 პროცენტსაც თუ შეადგენს, გაბატონებული ენა რუსულია, ტფილისში ქართულის ენით ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში ვერ შეხვალთ; ბორჩალოს მაზრაში ქართველ მკვიდრთ ქართულად არავინ ელაპარაკება და ბაშკიჩეთში საკრედიტო ამხანაგობაში ქართული თხოვნის შემტანს თხოვნა თავზე გადაახიეს და პანღური ამოკრეს; «საქართველოს ჩაის» საზოგადოებას თვითონ ორჯონიკიძემ უბრძანა გაეროვნებაო, მაგრამ დღესაც მისი გამგენი გურულ გლეხებს რუსულად უგზავნიან ქაღალდებს და უფროსს იმის ბრძანებაც კი გამოუცია, სასტიკად დავსჯი, ვინც ჩვენი დაწესებულების გაეროვნების სურვილს გამოსთქვამსო...

მაგრამ საჭირო არაა მსგავსი ფაქტების გარეშე ძებნა. თვითონ მ. ორახელაშვილი საკმაო მასალას გვაძლევს იმის ნათელსაყოფად, რომ ბოლშევიკებს ეროვნება არა სწამთ, არ

უნდათ, იგი მათვის ეშმაკეულია. როცა შ. ნუცუბიძემ მოკრძალებით და შეგუებულად შენიშნა: ყოველი ახალი ფაბრიკის გახსნას ჩვენ ვაფასებთ არა მარტო როგორც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების მომასწავებელ მოვლენას, არამედ როგორც ეკონომიური საძირკვლის ჩადგმას ჩვენი ეროვნული კულტურის განსავითარებლად, ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და უზრუნველსაყოფელადო, —ამაზე მ. ორახელაშვილმა მკვახედ უპასუხა: რის ეროვნული კულტურა და დამოუკიდებლობაო! ჩვენ კოსმოპოლიტები ვართ და ეროვნული დროშები კარგა ხანია დავხიეთო!—მერე კიდევ როცა პ. იაშვილმა თავდახრით სთხოვა მთავრობას, საშუალება მოგვეცით ქართველ მწერლებს, კავშირი და ახლობელი ურთიერთობა გავაბათ აზერბეიჯანის, სომხეთის მწერლებთანო, ამანაც ღირსეული პასუხი მიიღო: დაახლოვებისთვის ხარჯის გაწევა სულ მეტია, დაახლოვება კი არა, სრული გაერთიანება, ერთმანეთში სრული გათქვლეფაა აუცილებელი; რის მაქნისია ცალკე ქართველი მწერლები და ცალკე სომხის მწერლები, ცალკე ქართველი მეცნიერები და ცალკე რუსის მეცნიერებიო, მწერლობა და მეცნიერება ნაციონალური არ არისო.

განმარტება ზედმეტია, როგორც იტყვიან. ბოლშევიკების ეროვნული პოლიტიკა ყოველთვის იყო და არის მხოლოდ და მხოლოდ ანტიეროვნული.

ჩვენ ვართ დამცველნი სუვერენულ ერთა თავისუფალ კავშირის, ისეთის, რომელიც სრულიად უზრუნველყოფს მათ ეროვნულ თვითარსებობას, თავისუფლებას, განვითარებას, ისეთის, რომელიც ოდნავადაც არის არ შეზღუდავს მათ თავისებურ შემოქმედებას პოლიტიკურს, ეკონომიურს, კულტურულს. ბოლშევიკებმა იძულებით, ხიშტებით კვლავ გაერთიანეს რუსეთის იმპერია, დაჰყვეს ის «ავტონომიებად», «დამოუკიდებელ რესპუბლიკებად», «ფედერაციებად» და უწოდეს თავის სახელმწიფოს «რესპუბლიკათა კავშირი». მაგრამ ვინ არ იცის, რომ ნამდვილად ეს მასხრობაა და მთელ დედამიწაზე არ მოიპოვება ისეთი უნიტარული, ცენტრალისტური სახელმწიფო, როგორიცაა დღევანდელი ბოლშევიკური რუსეთი. მისი «დამოუკიდებელი რესპუბლიკები» ნაკლების თვითმოქმედებითაა აღჭურვილი, ვიდრე იყო ძველი რუსეთის ერობა და მაგალითად აგრე წოდებული «ა. კავ. ფედერაციის» მთავრობას არა აქვს ის დამოუკიდებლობა, რომელიც ჰქონდა ძველს გუბერნატორს და «დამოუკიდებელი საქართველოს» მთავრობის უფლება და ღირსება ძველი მაზრის უფროსის თუ პრისტავის უფლებაზე დაბლა სდგას. საშინელი იყო ქართველი ერის ბედი იმპერატორების ხელში, მაგრამ მაშინ ქართულ გაზეთს შეეძლო თუნდაც განსაზღვრულ ფარგლებში თავისუფალი მსჯელობა. დღეს კი ქართული გაზეთი მეთაურსაც კი მოსკოვიდან იღებს ტელეგრაფით და ბრმად, მუნჯურად იმეორებს ყველაფერში და ყველაფრის შესახებ იმას, რასაც უბრძანებენ ბატონები. მკვდარია ქართული აზრი, შემეცნება, შემოქმედება და აქ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი თავაშვებული ცინიკობაა.

«ავტონომიები», «რესპუბლიკები», «ფედერაციები» ბოლშევიკებისთვის მხოლოდ იარაღია თვალის ასახვევად და მოსატყუებლად. მათი შინაარსი არავითარ სინამდვილეს არ შეიცავს და მათ კონსტიტუციის არც ერთი მუხლი არაა კანონი და სავალდებულო. მაგალითად გულუბრყვილოთათვის იქ სწერია, სხვათა შორის, რომ «კავშირის» ყოველ შემადგენელს რესპუბლიკას უფლება აქვს გავიდეს «კავშირიდან», როცა მოისურვებსო. რომ ეს სრული სიყალბეა, ამას ისეთი ადამიანიც არ უარყოფს, როგორიც ბრძანდება პ. გელეიშვილი: საქართველომ რომ «კავშირიდან» გასვლა მოინდომოს, რასაკვირველია არ გაუშვებენო. ამის ეჭვი არავის ჰქონია: საქართველო თავის ნებით არც «კავშირში» შესულა, არც ა. კ. ფედერაციაში. და ცხადია, არც გამოსვლის ნება აქვს დატოვებული.

ეს არაა თავისუფალი შეთანხმება და შეკავშირება და რაკი თავისუფალი არაა, არცაა ნამდვილად კავშირი, არამედ არის იძულება, დამორჩილება, დაპყრობა. ეს არაა ერთა თანასწორ-უფლებიანობა, ერთა სუვერენობის, მათი ინდივიდუალობის, ღირსების პატივისცემა, არამედ ერთი ერის გაბატონება და სხვების დამონება, გათქვლეფა, გადაგვარება, მოსპობა. ლენინმა მაკიაველური ანდერძი დაუტოვა თავის მემკვიდრეებს: პატარა ერებს ნუ დააფრთხობთ, მათ ეროვნულ მისწრაფებათ უხეშათ ნუ დაეტაკებით, თავზე ხელი მოუსვით, მოეფერეთ და თვითონვე ნელნელა დაივიწყებენ თავის ეროვნებას, გადაგვარდებიანო. ბოლშევიკები მტკიცედ ასრულებენ ამ დავალებას: მათი «ავტონომიური» და «დამოუკიდებელი რესპუბლიკები» სულ ამ მიზნითაა გამოგონილი. მათი სიტყვა არის ვითომდა ეროვნული, საქმე კი ანტიეროვნული. თუ ამას ისინი ყოველთვის არ გაიძახიან, გვერდში ყავთ «თანამგზავრები» გელეიშვილი, სულაქველიძე, ყაჩუხაშვილი და ძმანი მათნი, რომელნიც ყოველთვის წინ უსწრობენ კომუნისტებს და ადრევე ამჟღავნებენ ბოლშევიკების გულისნადებს. ეს «ახალგზელები» მოურიდებლად სწერენ უკვე: ძალდატანება ნუ იქნება, თორემ «კულტურული ასსიმილიაციის» წინააღმდეგი არა ვართო. მაგრამ ბოლშევიკების ენაზე ხომ მთელი მათი ეროვნული პოლიტიკა «კულტურული ასსიმილიაციის», კულტურული გარუსების პოლიტიკაა!

არა, ბბ. ბოლშევიკებო, ჩვენი შემეცნება ეროვნებისა, ერთა კავშირისა სულ სხვაა, ვიდრე თქვენი. ტყვილად გარჯილხართ, იგი არ გამოგადგებათ თქვენი სათამაშოს ანუ უკეთ ხაფანგის გასამაგრებლად.

ს. ფირცხალავა.

* * *

✝ კათოლიკოზი ამბროსი.

სიონის ძველმა კედლებმა მიიბარეს მესამე კათალიკოზი საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის ახალი ხანისა, ხოლო მათ შორის ორი უკანასკნელი, ვითარცა მსხვერპლი უცხო და უღვთო ძალის უზომო დევნისა და შევიწროებისა. კათალიკოზი ამბროსის მიცვალება სევდით აღავსებს ქართველის გულს! მის სახელს მოწიწებით და პატივით გაიხსენებს ქართველი ადამიანი განურჩევლად წრისა, მიმართულებისა, რწმენისა. მისი ნათელი ხსოვნა აროდეს მიიჩრდილება ივერიელთა შთამომავლობის მეხსიერებაში! ქართველი ერის ისტორიაში სულმნათ კათალიკოზს ამბროსი ხელაიას წარჩინებული ადგილთაგანი მიეკუთვნება! ჩვენს მრავალტანჯულს მატიანეში მისი სახელი მამულისათვის თავდადებულთა გუნდთა შორის შთაიწერება.

ძნელია ჩემთვის დღეს ამ იშვიათი პიროვნების შესახებ წერა: ძნელია არა მარტო იმიტომ, რომ მისი დაუღალავი და ნაყოფით სავსე მოღვაწეობის აღნიშვნა უნდა უდრიდეს საქართველოს მწუხარებით გარემოცულს ისტორიას მას შემდგომ, რაც ბათუმის ნავთსაყუდელს ეროვნული ხელისუფლების მგლოვიარე გემი მოსწყდა და დედა ქალაქის ქუჩებს სტვენითა და ღმუილით აბეზარი მტერი დაეუფლა. ეს ახალი საფლავი ჩემთვის სუბიექტიურადაც ერთობ ძვირფასია, რადგანაც ჩვენგან განშორებულ კათალიკოზთან მე მაერთებდა პირადული ახლო განწყობილებაც. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ ჟამიდანვე მე წილად მხვდა დიდი პატივი ეკლესიურს ცენტრალ დაწესებულებებში მუშაობისა, ხოლო ის შინაარსიანი, თანაც ტრაგიკული პერიოდი, როდესაც საჭე მცხეთის კათედრისა მას ჩაჰბარდა, მავალებდა მე უფრო ახლო და მჭიდრო თანამსახურება მქონოდა ადამიანთან, რომელსაც მთელის თავის სიმძიმით თავს დაეწვა მტრის მიერ შექმნილი პოლიტიკური ვითარება.

კათალიკოსი ამბროსი არ იყო ცალმხრივი ეკლესიური მოღვაწე მონასტრული ბერის ტიპისა. დიდი მორწმუნე და სასოებიანი, იგი იმავე დროს თვალსაჩინო პოლიტიკურ ინტერესსაც იჩენდა, განსაკუთრებით შესახებ საქართველოს საქმეთა. მთელი მისი ცხოვრება ამ ორი მცნების მქონე იყო და ეს მას ისე ჰარმონიულად შესისხლხორცებული ჰქონდა, რომ მას აროდეს უგრძვნია ჰაზრთა და გრძნობათა დაორება. ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში ის—მაშინ უბრალო არქიმანდრიტი—გვევლინება ფიგურად, რომლის ირგვლივ თავს იყრის მთელი მოწინავე და განათლებული ქართველი სამღვდელოება. პარადოქსად ნუ ჩამომერთმევა, თუ ვიტყვი, რომ ბევრს შემთხვევაში იმ დროს თვით მცნება საქართველოს პოლიტიკური თვითმყოფობისა ეკლესიური ავტოკეფალიის თანამომდევნო იყო, ხშირად მისი თანადართიც. ყოველს შემთხვევაში ავტოკეფალიის შემოღება შესაძლებლადა ჰხდიდა და აადვილებდა ქართველი ხალხის პოლიტიკურ განთავისუფლების საკითხის დაყენებასაც. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს იყო დრო, როდესაც ქართველი საზოგადოება ჯერ არ იყო საკმარისად შესმენილი ამ მხრივ, ხოლო მის იმ ნაწილს, რომელიც იბრძოდა სოციალ-ეკონომიური განთავისუფლებისათვის, გეზიც სხვა ჰქონდა აღებული და ამ საკითხის დასმას ერიდებოდა კიდეც...

მავნე ბერის დატოვება საქართველოს საზღვრებში რუსული სასულიერო უწყებისათვის, რასაკვირველია, მიუღებელი იყო და არქიმანდრიტი ამბროსი გაწესებულ იქმნა მონასტრის წინამძღვრის თანამდებობაზე ნოვგოროდის გუბერნიაში, სადაც მან 1908 წლიდან ვიდრე ავტოკეფალიის გამოცხადებამდე დაჰყო. იქ, რუსეთშიაც, მისი მუშაობა ეკლესიისა და სამშობლოსათვის არ შეწყვეტილა. მისი ხმა მუდამ ისმოდა, ის სწერდა, გარდა ცალკე მეცნიერულ გამოკვლევებისა, აგრეთვე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და იმ რუსულ გამოცემებში, რომელნიც ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიას კანონიკური თვალსაზრისით უდგებოდნენ, როგორც მაგალითად: უხტომსკის «ს.—პეტერბურგსკია ვედომოსტი» და «რაზსვეტ» დურნოვოსი.

იქნებ ბევრისათვის უცნობი იყოს ის გარემოება, რომ პირველად კათოლიკოზის არჩევნების დროს სამღვდელოების საუკეთესო ნაწილი და ერისკაცობაც მოწადინებული იყო, რათა კათოლიკოზის საყდარზე აღყვანილიყო არქიმანდრიტი ამბროსი. გარდა იმ მოსაზრებისა, რომ პარტიულად დაყოფა სამღვდელოებისა (ლეონიდელები და კირიონელები) სიკეთეს არ უქადდა ახლად ფეხზედამდგარ ეკლესიას და ისიც საერთო აღრევის ხანაში, მხედველობაში მიღებულ იქმნა არქიმანდრიტი ამბროსის უპირატესობაც კულტურულ-პოლიტიკური მხრივ. როდესაც ეს მომწიფებული სურვილი მას განუცხადეს თითქმის ოფიციალად, მან სახეგაფითრებულმა ნაწყენად წარმოსთქვა, რომ იგი არ არის იმდენად გამბედავი, თვისი კანდიდატურა კათოლიკოზის ტახტისათვის დასვას, როდესაც ცოცხლობენ ისეთი დამსახურებული მხცოვანი მოღვაწენი, როგორიც არიან ეპისკოპოზები კირიონი და ლეონიდი. არ გასულა სულ მცირე ვადაც, რომ სავსებით გამართლებულიყო ხალხის შიში და ქართულმა ეკლესიამ კიდევაც განიცადა ისეთი ამბები და მოვლენები, რაიცა მას ჯერაც არ ჩამოჰრეცხია.

ამ გაუტანლობისა და ინტრიგობის ხანაში მიტროპოლიტის ხარისხზე აღყვანილი ამბროსი ბრძნულად და განსაცვიფრებელის პოლიტიკური ნიჭით განაგებდა ცხუმბედიის მეტისმეტად საპასუხისმგებლო ეპარქიას. მისი გავლენა და პოპულიარობა აფხაზეთში დღითიდღე იზრდებოდა და ბოლოს იგი შეიქმნა მუნ ცენტრალ პიროვნებად, რომელიც ამ განაპირა კუთხეში განასახიერებდა საქართველოს მთლიანობის იდეას.

აფხაზეთში მიტროპოლიტმა ამბროსიმ დაჰყო მთელი ჩვენი დამოუკიდებლობის ხანა. დევნილი და შეწუხებული, ძირბუდიანათ გაძარცული წითელი არმიელების მიერ, ის 1921 წლის ზაფხულში ჩამოვიდა ტფილისში, რათა შესდგომოდა კათოლიკოზის მოსაყდრეობის შესრულებას მისი უწმიდესობის ლეონიდის გარდაცვალებისა გამო. საქართველოს ეკლესიის მესამე ადგილობრივ კრებაზე გელათში გამოირკვა, რომ აწ განსვენებულ ქუთათელ ნაზარის კანდიდატურაც საკათალიკოზოდ საკმაო თანაგრძნობას ჰპოვებს. მას მთელის თავის ავტორიტეტით მხარს უჭერდა კრების პრეზიდიუმის წევრი განსვენებული თ. დავით ნიქარაძე. როცა გამოირკვა, რომ საეკლესიო კრება (სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ გელათის კრება იყო შესანიშნავი იმ მხრივაც, რომ მან ჩვენს ეკლესიას მოაცილა ბევრი მავნე თვისებები მეორე და მეტადრე პირველი საეკლესიო კრების მიერ ნანდერძევი) არ არის კანდიდატთა შეჯიბრების მომხრე, მიტროპოლიტმა ამბროსიმ უმალვე უარი განაცხადა თავის კანდიდატურაზე. კრების ზოგიერთ წევრებს დიდი ცდა დასჭირდათ, რომ ამ განცხადებას მსვლელობა არ მიეღო და კრებაზე ოფიციალად არ დასმულიყო. 10 ენკენისთვეს კრების გარდაწყვეტილებამ კათოლიკოზის ტახტზე აღიყვანა ამბროსი. გელათის ტაძარში პირველად მას მიესალმა მიტროპოლიტი ნაზარი და საკათოლიკოზო ეკლესიის სახელით ბეჯითი თანამშრომლობა და მორჩილება აღუთქვა. ამ აღთქმას ქუთათელმა არ უღალატა და 1924 წელს ეს თავისი სისხლით დაამოწმა.

ამ დროიდან იწყება ეკლით ფენილი გზა საქართველოს მთელი ეკლესიისათვის და უპირველესად ყოვლისა იკაწრება თვით საჭეთმპყრობელი ამა ეკლესიისა. რუსული მაგალითის მიხედვით საოკუპაციო ძალის უფლება ჯიუტათ შეუდგა ჩვენი ღარიბი ეკლესიის ძარცვა-გლეჯასაც, ხოლო ეს შარაგზაზე ყაჩაღობა დეკრეტში იწოდებოდა «ძვირფასეულობის ჩამორთმევათ». საერთო დრტვინვისა და შიშისზარის ჟამს კათოლიკოზი ამბროსი შესაფერ ღირსებით წინააღუდგა ამ აქტს. მან გასცა ბრძანება, რომ ეკლესიის მსახურთ არ გაეღოთ ტაძრის კარი და არც ხელი მოეწერათ ნივთეულობის გატანის ოქმზე. ბოლშევიკებმა ჯერხნობით შიგნით დაუწყეს ეკლესიას ღრღნა: მათ მიიმხრეს სამღვდელოების ნაძირალები—აღკვეთილნი, ლოთები, მეძავენი და ებრვე სხვა. სოფლად დაიწყო დევნა და აწიოკება კანონიერად დადგენილ მღვდლებისა, რომელთა მაგიერად ზემოაღნიშნულ «მღვდლებს» იხმობდნენ. სამთავარხუცესო ოლქები გაივსო ეგრეთწოდებულ «შეჭრილი მღვდლებით», რომელნიც არ სცნობდნენ სასულიერო მთავრობას და კომისარიატების ყურმოჭრილ მონობას ეწეოდნენ. ამ სტრიქონების დამწერმა კათოლიკოზის ბრძანებით ალავერდის ეპარქიის საგანგებო რევიზია მოახდინა იმ მიზნით, რომ განედევნა შეჭრილი მღვდლები. ადგილობრივი პირობების გაცნობამ დამარწმუნა მე, რომ ბოლშევიკებს სოფლის ნაძირალებისა და ათასგვარი მაწანწალის დახმარებით უკვე დაეწყოთ ნამდვილი ომი კათოლიკოზის წინააღმდეგ. თვითონ-კი ჯერ ფორმალურად გარეთ იდგნენ. უშიშარი კათოლიკოზი არ დაერიდა ამ უსწორო ბრძოლას და უმეტეს შემთხვევებში კიდევაც სძლია ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული შეთქმულობა.

მასუკან ხმა დავარდა, რომ გენუაში საერთაშორისო კონფერენცია იკრიბება. სრულებით მოწყვეტილ განათლებულ ქვეყნებისაგან საქართველოში ამ ამბავმა წრეს გადასული გამოხმაურება ჰპოვა. ბევრნი ოცნებას მიეცნენ, რომ ვილაცის ბრძანებით რუსის ჯარს საქართველოს საზღვრებს დააცლევინებდნენ. იყვნენ სკეპტიკებიც, გარნა საერთო აზრი იქითკენ იყო მიმართული, რომ დაპყრობილ საქართველოს ხმა ამა თუ იმ სახით უნდა მისწვდომოდა სახელმწიფოთა საკრებულოს. ამ შეხედულებას იზიარებდა კათალიკოზი ამბროსიც. ის პრაქტიკულად არაფერს გამოელოდა გენუის კონფერენციისაგან. მაგრამ ხმის ამოუღებლობას იმ დროს, როცა ქართველობა იჟლიტებოდა და სამკვიდრებელი მისი ვერანდებოდა, კათალიკოზი სასტიკ დანაშაულად სთვლიდა. გადასწყდა, რომ მისი სახელით წარიგზავნება მემორანდუმი, რომელშიაც ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობისა, მისი ჟლეტისა და ეკლესიის დევნის ამბავი იქნებოდა მოთხრობილი. კათალიკოზს გაუთვალისწინეს ამ სერიოზული აქტის მოსალოდნელი შედეგები მისი პიროვნებისათვის. «ერი და სჯული მოითხოვენ ამას ჩემგან», იყო პასუხი მისი. როგორც საქართველოსი, აგრეთვე მისი კათალიკოზის ხმა მივიდა გენუაში. კონფერენციის პოლიტიკურ კომისიაში წაკითხულ იქნა კათოლიკოზის მემორანდუმი. საქართველოს შველის საქმე-კი რაპალოს ხელშეკრულებამ და ლოიდ ჯორჯმა შთანთქეს... გენუაში მყოფი უტვინო ბუდუ მდივანი ამაოდ ცდილობდა საქართველოს წარმომადგენლად დაშვებას, თვით საქართველოში კი იქ მყოფი მოსკოვის ნოქრები კათოლიკოზის დაღუპვის გეგმის მოწყობას შეუდგნენ. პირველმა მის წინააღმდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაილაშქრა მუდამ მეტიჩარა ფილიპე მახარაძემ: თავის წერილებში რუსულსა და ქართულ გაზეთებში ის მოითხოვდა კათოლიკოზის სასტიკ დასჯას «მუშურისა და გლეხურ ხელისუფლებისაგან ინტერვენციის საფრთხის ასაცილებლათ», ხოლო როდესაც გენუიდგან ზემოდასახელებული ქართველი სახელის მატარებელი გვამი ტფილისში დაბრუნდა, მან ერთ თავისიანების კრებაზე გაოცება გამოსთქვა კათოლიკოზის დაუტუსაღებლობის გამო.

შემდგომ გარემოებებზე აღარ შევჩერდები. ვფიქრობ, მკითხველის ხსოვნას ჯერ კიდევ დიდხანს შერჩება მთელი წყება იმ სულისშემხუთავ მოვლენებისა, რომელთა მომქმედ პირებად იყვნენ: ერთის მხრით მცხოვანი მოხუცი, მწყემსმთავარი, საქართველოს დიდების ერთგული დარაჯი, მისი გაუპატიურების დამტირალი, საუკუნოებში გადასულ დღეთაგან წარმომდგარი საბა-ბერი, ყველგან უშიშრად მავალი, ხალხის მეჭირნახულე, იმედის მიმცემი და მესაიდუმლე... ასეთად გვისახავს მატიანე მის სეხნიას მე 18 საუკუნის შესანიშნავ მქადაგებელს ამბროსი ნეკრესელს, რომელიც მხურვალე სიყვარულით გამსჭვალული დაუღალავად იღწვოდა სამშობლოს კეთილდღეობისა და უვნებლობისათვის, რომელიც თავს დასტრიალებდა ალა-მაჰმედ-ხანის მიერ აკლებულ საქართველოს და ქრისტეს მგმობელ მტერთაგან დამდაბლებულ ქართველობას ბრძოლისაკენ მოუწოდებდა!.. მეორეს მხრით, ორიოდე ლაწირაკი ქართველი უცხო ტომის ჩეკელებით და მოსკოვის ხიშტებით თავისივე წარმომშობი ერის შემმუსრავნი! ეს სურათი გადავა შვილით შვილამდე და მსჯავრიც დაიწერება...

შეუძლებელია აღწერა ფიზიკური და სულიერი ტანჯვისა, რაიც კათალიკოზ ამბროსის გარდახდა იმ დღიდან, როდესაც ის პირველად გაიტაცეს ჩეკაში 1922 წლის ზაფხულში. გამოდევნილი სასახლიდან, ის ეძებს თავშესაფარს სიონის ეზოში ნესტიან შენობაში. შეიძლება ჩასწვდეთ მღვდელმთავრის ტანჯვას, როცა მას კარის ეკლესიას უკეტავენ, ხატებს ფანჯრებიდან ისვრიან და ტაძარში საცეკვაო ზალას ხსნიან?! ჩვენ ვიცით, რომ დამცირებული და შეურაცხყოფილი კათოლიკოზი შემდგომ გადაჰყავთ მეტეხის ციხეში, სადაც მან მრავალი თვე დაჰყო! მოიგონეთ მისი გასამართლების ამბავი, ის სასაცილო ეგრეთ წოდებული რევოლიუციური ტრიბუნალი, რომელშიაც მსაჯულებად და ბრალმდებლებად მეტად საეჭვო სუბიექტები იყვნენ წარმოდგენილნი. გეხსომებათ ალბათ ზოგიერთი ეპიზოდები ამ გასამართლებისა, თუ როგორ ავსებდნენ სამსჯავროს შენობის წინ მოედანს ჩეკელებითა, ჯაშუშებით და სხვადასხვა ჯურის კრიმინალი ელემენტებით. «სიკვდილი ამბროსის, სიკვდილი», ღრიალებდა წაქეზებული ბრბო და უშენდა მას ქვებს... «მიუტევე, უფალო, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმნ», ასე მიუგებდა უმეცართ უფალი-საბაოთის სახის მღვდელმთავარი!

ჯერ არ დამდგარა დრო ამ ამბების ჯეროვანად აღნუსხვისა. იქ ბევრი რამ გამოირკვა და ბევრთაც ნიღაბი ჩამოეცალათ. ერთი-კი ცხადია, რომ კათოლიკოზი ამბროსისა და მის თანამოსამსახურეთა პროცესმა საქართველოს იარაღით დაპყრობის ფაქტი ნათელჰყო იმათთათვისაც, ვისაც ჯერ კიდევ სჯეროდა წითელ არმიელთა მოპატიჟების ზღაპარი. სულ მცირე ხნის შემდგომ ამ ფაქტის აღბეჭდა აკი მთელმა ქართველმა ერმაც ინება თავისი სისხლით...

როგორც კათოლიკოზი, განსვენებული სასტიკად იცავდა აღმოსავლურ მართლმადიდებელ ეკლესიის ტრადიციებს. ის არ იწყნარებდა იმ ცალმხრივ ასე ვთქვათ ნოვატორობას, რასაც ზოგიერთნი დღემუდამ გუნდრუკს უკმევენ. რაც უპასუხისმგებლო პირთათვის ადვილი გადასაჭრელი საგანი იყო, იმას ასე იოლად ვერ დაეთანხმებოდა სრულიად საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელი, პასუხისმგებელი თავის მოქმედებაში აღმოსავლურ მსოფლიო ეკლესიის წინაშე.

კათოლიკოზი ამბროსი დიდათ ცდილობდა ეკლესიათა შეერთებისათვისაც იმ სახით, როგორც ეს 1054 წლამდე იყო. ის ნატრობდა, რომ კვლავ დამდგარიყო დრო ხუთთა უძველეს საპატრიარქოთა მსოფლიო გამგებლობისა, სადაც რომის ეპისკოპოზს მიეკუთვნება თავისი პირველი ადგილი, ვითარცა primus inter pares-ს... თვისი ინტრონიზაცია მცხეთის საკათოლიკოზო ტახტზე მან საჭიროდ ჩასთვალა ეცნობებინა, როგორც აღმოსავლურ პატრიარქებისათვის, აგრეთვე რომის პაპისათვისაც. უკანასკნელმა თავის დროზე შესაფერისი პასუხიც მიუთვალა.

საქართველოს ეკლესიამ, საქართველოს სახელმწიფომ და მთელმა ქართველმა ერმა დაკარგა ბრწყინვალე მღვდელმთავარი, უდიდესი პატრიოტი და ხალხის ნამდვილი მამა და მესაიდუმლე!

მტერი ხარობს, რადგანაც მან მოიშორა მოწინააღმდეგე, რომლისაც მას ყველაზე მეტად ეშინოდა.

სამშობლოს მიწავ, მსუბუქად დაეფარე მის წმიდა ცხედარს!

რ. ინგილო.

რომი.

კათოლიკოსი ამბროსის კონდაკი გენუის კონფერენციას.*)

განათლებულ კაცობრიობის წარმომადგენელთ გენუის კონფერენციაზე შეკრებილთ. ღვთისა მსახურისა, სრულიად საქართველოს სულიერი მწყემსის და პატრიარქის ამბროსისაგან სიყვარულითა ქრისტეს მიერითა სალამი.

ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინა დროს, კავკასიონის კალთებზე შავსა და კასპიის ზღვებს შუა ქართველთა ნათესავის ტომებმა შექმნეს თავისი სახელმწიფო, რომელიც სივრცით არ იყო დიდი, მაგრამ იყო ძლიერი თავის ნებისყოფით და დაჯილდოვებული შემოქმედებითი ნიჭით. ამ სახელმწიფოს ისტორია იცნობს საქართველოს სახელით, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ერთად ერთი იყო წინა აზიაში ქრისტიანულ კულტურის და ევროპიელთა კაცთმოყვარული მოძღვრების მატარებელი.

მე-18 საუკუნის ბოლოს, გარეშე მტრებთან ბრძოლით დაუძლურებულმა ქართველმა ხალხმა საკუთარის ნებით მიიღო თანამორწმუნე რუსეთის მფარველობა და იმედი ჰქონდა, რომ ეს მფარველობა უზრუნველყოფდა მის ეროვნულს და პოლიტიკურს არსებობას. ეს მოსაზრება ნათლად არის გამოთქმული იმ ხელშეკრულებაში, რომელიც შეკრეს ურთიერთ შორის 1783 წ. საქართველოს მეფემ ირაკლიმ და რუსეთის იმპერატრიცამ ეკატერინემ.

მაგრამ საუბედუროთ ჩვენს სამშობლოს იმედი გაუცრუვდა და 117 წლის განმავლობაში იგი იტანჯებოდა რუსის მოხელეების სასტიკ თვითნებობისაგან და განიცდიდა საშინელ შევიწროვებას.

ამის გამო მოხდა, რომ 1917 წ., როგორცკი დაიშალა ნაძალადევი მთლიანობა რუსეთის იმპერიისა, ქართველმა ხალხმა გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და დაუყონებლივ შეუდგა თავის პოლიტიკურ, ეროვნულ და კულტურულ ცხოვრების აღდგენას.

თუმცა ქართველი ერის მუშაობას ხელს უშლიდნენ გარეშე და შინაური მტრები, მაგრამ მან იმდენად დაამტკიცა თავისი შემოქმედობითი უნარი და ძალა, რომ მესამე წლის ბოლოს განათლებულმა ევროპამ აღიარა ეს და საქართველოს მისცა ადგილი სუვერენულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის.

ცხადია, რომ ეს არ იყო მისაღები რუსეთისათვის, რომელიც პატარა ერების მჩაგვრელია. მან მიარეკა საქართველოს საზღვრებს ჯარი შესასევად და საოკუპაციოდ და 1921 წ. 25 თებერვალს კვლავ დაადვა სისხლით მორწყულს პატარა საქართველოს მძიმე უღელი, რომლის მზგავსი მას არასოდეს უნახავს თავის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

მართალია ოკუპანტები ცთილობენ დაუმტკიცონ ყველას როგორც გარეთ ისე შინ, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველი ერი, მაგრამ ჩვენ, მისმა სულიერმა მამამ, ამ ჟამად მისმა ერთად ერთმა და ჭეშმარიტმა მცველმა, რომელსაც წვდებიან ამ ერის უიდუმალესი გულის განცდანი, რომელსაც ესმის უშუალოდ ერის მოთქმა და გოდება,—ჩვენ ვიცით, რა ზომ ბედნიერია იგი!..

ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ გადაუმეტებლად, რომ ის ზომები, რომლებიც მიღებულია ქართველი ერის მიმართ, აუცილებლად მიიყვანენ მას ფიზიკურ და ზნეობრივ გადაგვარებამდე.

ართმევენ ერს წინაპართა სისხლითა და ძვლებით გაპოხიერებულ მიწას და ურიგებენ შემოსეულს უცხოელებს. თავდამსხმელნი ტაცებენ ხალხს არსებობის სახსარს, რომელიც მან თავის ოფლითა და სისხლით მოიპოვა, და აგზავნიან უცხოეთში გაუგებარის სისწრაფით. სპობენ და შეურაცხყოფენ ხალხის დედა ენას, ფეხით სთელავენ წინაპრების შექმნილ ეროვნულ კულტურას და დაბოლოს ჰრყვნიან, რაც ყველაზე უფრო წმინდაა ერისათვის—მის რწმენას და ვითომდა სინდისის თავისუფლების დროშა წამოსხმულნი არ აძლევენ ხალხს ნებას თავისუფლად დაიკმაყოფილოს თავისი სარწმუნოებრივი მოთხოვნილება. მისი სამღვდელოება დამცირებულია და დევნილი, მისი ეკლესია, რომელიც საუკუნეთა განმაალობაში შეადგენდა ქართული ეროვნული სახელმწიფოს სიდიადის და სიძლიერის მთავარს საფუძველს,—მოკლებულია დღეს ყოველს უფლებას იმ ზომამდე, რომ არ შეუძლია თავი გაიტანოს თავის შრომით, მუყაითობით და სამსახურით.

ერთი სიტყვით ერი ჰკვნესის, ერი მოსთქვამს; იმას არ მოეპოვება იმის შესაძლებლობაც, რომ ხმა აღიმაღლოს.

ამ პირობებში ჩვენ მიგვაჩნია ჩვენს მთავარმოძღვრის მოვალეობად განვაცხადოთ მთელი განათლებული კაცობრიობის წინაშე:

ვითარცა წარმომადგენელი უფლისა სკლესიისა ჩვენ არ შევდივართ პოლიტიკური ცხოვრების ფორმების განხილვასა და განრიგებაში, მაგრამ არ შეგვიძლია არ ვისურვოთ ჩვენი ერისათვის ისეთი წყობილება, რომელიც ხელს შეუწყობდა შედარებით უკეთ მის ქონებრივ წარმატებას და სულიერ განვითარებას,—აი ამ მოსაზრებით ჩვენ მოვითხოვთ:

1. რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარები დაუყონებლივ გაყვანილ იქმნენ საქართველოს ტერიტორიიდან და ქართველთა სამკვიდრო უზრუნველყოფილ იქნეს უცხოელთა ყოველგვარ ძალდატანებისა და ნაძალადევი მზრუნველობისაგან.

2. რომ მიეცეს ქართველ ერს საშუალება თავისუფლად მოაწყოს თავისი ცხოვრება, როგორც სურს, დააწესოს თავის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრების ისეთი ფორმები, რომელნიც საუკეთესოდ შეეფერებიან მის სულს, მის მისწრაფებას, მის ზნეჩვეულებას და მის ეროვნულ კულტურას.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეგზომ წარჩინებული შეკრებულება, რომელსაც მიზნათ დაუსახავს კაცობრიობის უდიდეს საკითხების მოწესრიგება და ამ ქვეყნად სამართლიანობის და თავისუფლების დამკვიდრება, არ დასტოვებს უყურადღებოთ პატარა საქართველოს საარსებო მოთხოვნილებებს, აქ ჩვენ მიერ წარმოდგენილს, და გაანთავისუფლებს მას დამამცირებელ მონობისა და მოძალადეთა ბატონობისაგან, რომლის მსხვერპლი იგია დღეს.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენსა ზედა, თქვენს კეთილშობილ განზრახვათა და თქვენს საქმეთა ზედა.

უმდაბლესი ამბროსი
პატრიარქი სრულიად საქართველოსი.

ტფილისი, 1922 წ. თებერვლის 7.

* * *

---

*) რადგან ხელთ არა გვაქვს ქართული დედანი, ამიტომ აქ ვათავსებთ ფრანგული ტექსტიდან გადმოღებულს თარგმანს.

† ქ-ნ ქრისტინე ჟორდანიას გარდაცვალების გამო.

7 მაისს, ლანჩხუთში, გარდაიცვალა ქ-ნი ქრისტინე ჟორდანია, საყვარელი მშობელი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი.

ღრმა მოხუცებულ დედას უკანასკნელი წლები მოუწამლა საქართველოზე თავდატეხილ უბედურებამ, რომელმაც სამუდამოთ განაშორა ის ერთად ერთ შვილს და მის ოჯახს. ამასთან დაერთო მრავალი შევიწროება, რომელსაც შვილის მიმართ შურის საძიებლათ აყენებდენ მოხუცებულ და უმწეო დედას ჩვენი ქვეყნის მოძალადენი.

«დამოუკიდებელი საქართველოს» რედაქცია ულრმეს თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს და ქართველი ერის ბელადს ამ მძიმე დანაკლისის გამო.

დაე, გლოვის ღრმა განცდა შეუმსუბუქოს მას იმ რწმენამ, რომ მის მწუხარებას იზიარებს მთელი ქართველი ერი.

◆

გულითად მადლობას უძღვნი ყველა იმათ, ვინც პირადათ თუ წერილობით მონაწილეობა მიიღეს ჩემს ღრმა მწუხარებაში ჩემი დატანჯული დედის გარდაცვალების გამო.

ნოე ჟორდანია.

უცხოეთის მიმოხილვა.

კანოსა.

ჩვენ არა ერთხელ ვთქვით აქ, რომ მოსკოვი ფეხს წაიტეხდა ჩინეთში, და ეს კიდეც ახდა. თემთა პალატაში ჩემბერლენმა უპასუხა ერთ შეკითხვაზე: კომუნისტებს ეხლა ჩინეთში გაცილებით უფრო სასტიკათ ებრძვიან, ვინემ ეს ჩვენ ან სხვა სახელმწიფოს შეეძლოვო. სტალინიც ადასტურებს ამას, როცა ის დამნაშავეს ეძებს: შენი, სულ შენი ბრალიაო, უკიჟინებს ის რადეკს: შენ დააჩქარე დაშლის პროცესი კუო-მინტანშიო. ზინოვიევი სტალინს აბრალებს საქმის წაგებას ჩინეთში და ამისათვის პასუხისგებაშია ის მიცემული. ჩვენ არ ვფიქრობთ, პეტრე გელეიშვილსაც მოხვდეს... მას ხომ მეტის ერთგულობით მოსდის!

ყოველ შემთხვევაში, მოსკოვის მთავრობა იძულებულია ერთხელ კიდევ გადასინჯოს თავისი ორიენტაცია და საჭე ევროპისაკენ მოატრიალოს! დიახ, ის ეხლა არ თაკილობს, ვოროვსკის საფლავზედ დაჩოქილმა, დამსახურებული მწარე აბი გადაყლაპოს პატარა, მაგრამ ამაყ შვეიცარიის ხელიდან. ის პირობები, რომელზედაც მან ხელი მოაწერა ბერლინში, შარშან, შარშანწინ წაუყენა მას შვეიცარიამ, მაგრამ მოსკოვმა იუკადრისა: არა, ნამდვილი ბოდიში უნდა მოიხადოვო. ეს ვერ მიართვეს, ვერც დანართი: იურიდიული ცნობა...

და მოსკოვმა მაინც დესპანები აფრინა ჟენევისკენ, საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზედ! აი, მართლა კანოსა, რომელიც ისტორიულად ცნობილზე გაცილებით უფრო დამამცირებელია და საჯაყი. მაგრამ აბა როდის რცხვენოდა მოსკოვს, რომ ეხლა შერცხვეს? ის ხომ ბურჟუაზიულ კონფერენციაზედ გზავნის დელეგაციას და აქ კი, როგორც შეჰფერის მის ბოლშევიკურ მორალს, სრულიად ტიტვლათაც შეიძლება გამოჯირითება. ერთი ჩაცმული მაინც გამოგზავნა მან, ყოველ შემთხვევისთვის, ეს—სოკოლნიკოვი, რომელიც კომისრობიდან გადააყენეს ოპოზიციონერობისათვის. სტალინმა ჭკვიანათ განსაჯა: რაც ჩვენთვის არ ვარგა, ის სხვებისთვის კარგიაო. სოკოლნიკოვმა მართლაც ზომიერი სიტყვა წარმოსთქვა როგორც ფორმით, ისე შინაარსით. დამსწრეთ თითქოს იმედიც მიეცათ: ეს რას ამბობს, მოსკოვი მორჯულებულაო! მაგრამ, როცა ბოლო მოისმინეს, მიხვდნენ: აა, ესეც კრედიტს თხოულობსო! ჯერი მიდგა ოსინსკიზე, ეგ ხომ დელეგაციის თავმჯდომარეა და, რა თქმა უნდა, მისი სიტყვა ნამდვილი მოსკოვიტური გამოდგა. ჩვენი «სოციალისტური» მეურნეობა - ამბობდა ის - ძირითადათ ეწინააღმდეგება თქვენს კაპიტალისტურ მეურნეობას და იჭვიც ნუ შეგეპარებათ იმაში, რომ პირველი აჯობებს მეორესო. მაგრამ, როცა ორატორმა შენიშნა, რომ ევროპა-ამერიკის სპეცებს ამ სიტყვებმა ცახცახი დააწყებინა, კილო გამოიცვალა და მოწყალებით განუმარტა: არა, სანამ ქეჩოზედ მოგაჯდებოდეთ, თქვენს და ჩვენს მეურნეობას ჩინებულათ შეუძლია ერთი მეორის გვერდით იარსებოს და ორივე მხარე მოგებული დავრჩებითო. გიშველა ღმერთმა!—შესძახეს ევროპა-ამერიკის სპეცებმა, რალმე გული წაგვივიდაო. ოსინსკიმაც იხელთა ეს მოხდენილი მომენტი და «გააღრმავა» თავისი დებულება: დიახ, ერთათ ვიარსებებთ მეზობლურათ, მოყვრულათ, მაგრამ საჭიროა სულ უბრალო რამ... კრედიტიო!—წაართვეს მას სიტყვა სპეცებმა.

მოსკოვიტების ტაქტიკა ცნობილია კიდევ გენუიდან: ერთი უფალს, მეორე ეშმაკს; ერთი პროლეტარიატს, მეორე ბურჟუაზიას. ოსინსკიც ამ ხერხს მიმართავდა და... მოხსნა ტყუილების გუდა: ჩვენში 8 საათს და კიდევ ნაკლებს მუშაობენ, ხელფასი გაცილებით დიდია, ვინემ თქვენში, უმუშევრებს ყელამდე ვაკმაყოფილებთო. ტყუილებს მოკლე ფეხი აღმოაჩნდა, საფრანგეთის სინდიკატების თავმჯდომარემ ჟუომ იქვე გაუბათილა მას, რაცა სთქვა. მაშინ ოსინსკიმ სტატისტიკა იმოწმა, რომელიც თან არ აღმოაჩნდა! დღესაც ელის მოსკოვიდან, ჯერ ვერ მოუსწრიათ შეთხზვა.

ასე თუ ისე, სასწორი უფრო ბურჟუაზიისაკენ არის გადახრილი, დელეგაცია მის მოყვავილებას ცდილობს, პროლეტარიატს კი გადაუგდებს ძვალს დრო გამოშვებით. ერთი სიტყვით, არ ფარავს, რომ შუაგულ კანოსაშია, ითხოვს შენდობას, მოწყალებას.

ღირსეული პასუხი.

თუ ჟენევის ტბის პირას ასე მშვიდობიანათ და თითქოს იდილიურათ წარმოებდა დისკუსია ბოლშევიკებსა და 50-მდე სხვა სახელმწიფოთა დელეგატებს შორის, ლონდონში უცაბედათ მეხი გავარდა. საბჭოთა ვეება სახლს, შუაგულ სიტიში, შემოესია უთვალავი რიცხვი საიდუმლო და ჩვეულებრივ პოლიციელთა და ოთხი დღე და ღამე ჩხრიკეს იგი, ძირიან-ფესვიანათ გადააბრუნეს. ამას არ მოელოდა მოსკოვი, არც თვით ლონდონი, მოხდა ისე რაღაც ფატალურათ. მაგრამ, როგორც კი განოიფშვნიტეს თვალი, ჯონ-ბულებმა ყვირილი მორთეს: აქამდისინ სად იყავით, რატომ უფრო ადრე არ ებდლვენით მოსკოვიტებსო—უსაყვედურებენ ბოლდვინს, [illegible] და შეუდგენ გადმოლაგებას მოსკოვის ცოდვების, [illegible]ლი ზინოვიევის წერილით და გათავებული პეკინის ჩხრეკით. ჭეშმარიტათ მართალია პეტრე გელეიშვილი—ჩვენ განზრახ ვახსენებთ მას მეორეხელ, რომ მოსკოვმა «პაიოკი» გაუდიდოს,—როცა ის ამტკიცებს, დასავლეთმა აღმოსავლეთისგან ისწავლოს ჭკუაო. მაგრამ არც ხინჩუკია მთლათ სიმართლესთან დაშორებული, როცა ის კვირობს: ამბობენ, ინგლისის მთავრობას ხუთი თვის წინ დაჰკარგვია რაღაც დოკუმენტი და ამას ეძებდენ თურმე «არკოსის» და სავაჭრო დელეგაციის სახლშიო, აქამდის სად იყვნენ? ან თუ გვქონდა ეს დოკუმენტი, რაღა ამდენი ხანი შევინახავდით იქაო. ჩემბერლენმა მართლა სთქვა, თებერვლის ნოტის ხანაში, ჯერ ჩვენ არ გავწყვეტთ მოსკოვთანო. ისიც იცდიდა, სჩანს. მაშ რა მოუვიდათ, რატომ უთუოთ მაშინ წამოიჭრენ, როცა მოსკოვმა თითქოს ჩამოიბანა გათხუპნული სახე და სუფთა ხალხში გაერია, ჟენევაში? ეს კითხვა დიახაც საინტერესოა, მაგრამ მისი გამოკვლევა არც ისე ადვილია, სანამ ლონდონში, გაჩხრეკის დროს, აღმოჩენილ ქაღალდებს არ გამოამზეურებენ. ქურდს უკვე ეწვის ქუდი: რაც არ უნდა გამოამზეურონ, სულ ერთია, ყალბი იქნებაო—გაიძახის წინდაწინ მოსკოვი. ერთი, ყოველ შემთხვევაში, ცხადია: ლონდონმა მაშინ ჩაკრა მოსკოვს თავში, როცა უკანასკნელი თითს კაკვავს დასავლეთის წინაშე და მით თვითონვე აღიარებს თავის დამარცხებას.

ჯერ მოსკოვის დროებითმა წარმომადგენელმა ლონდონში, შემდეგ თვით ლიტვინოვმა, რომელიც ერთხელ გააძევეს «კარგი ყოფაქცევისთვის» ლონდონიდან, «უსასტიკესი» პროტესტით მიმართეს ჩემბერლენს, 1921 წ. ხელშეკრულების, და რაც უფრო საყურადღებოა, «მიღებულ საერთაშორისო წესების» დარღვევის გამო. ამ რიგათ, ბოლშევიკები იმოწმებენ ბურჟუაზიულ წესებს! ეს მოსაწონი იქნებოდა უეჭველათ, თავში ლაზათიანათ ჩაკვრის შემდეგ რომ არ წარმოცდენოდეთ. ლიტვინოვი ხელშეკრულების უცოდველ კომენტატორის როლსაც კი კისრულობს: სიტის ადათი მოითხოვდა, «არკოსს» უფრო თავაზიანათ მოპყრობოდითო, და ესეც არ იყოს, სავაჭრო დელეგაციას და მის შეფს ხინჩუკს ხომ დიპლომატიური ხელუხლებლობა ფარავდათო. ეს არ გამომდინარეობს თვით ტექსტიდან, მაგრამ, რასა იქთ, როცა თვით ლიტვინოვი, კრემლის ბრძენი, ასე განმარტავს. უსაზღვროა მოსკოვის «გულუბრყვილობა», სწორეთ მას ბრალდება და საბუთებიც ხელთ აქვთ, რომ ის სრულიად წარბშეუხრელათ არღვევდა და არღვევს ხელშეკრულებას,—და იმავე დროს ნიშს მიუგებს: არა თქვენ არღვევდითო! ლიტვინოვი ამასაც არ სჯერდება და ლონდონის მოქმედებას ტლანქს და შეურაცხმყოფელს ეძახის. ათავებს იმით, რომ მოსთხოვს ლონდონს ნათელ და გარკვეულ პასუხს, სანამ ჩემი ლოღიკური დასკვნა არ გამიკეთებიაო. ეს უკვე მუქარაა! იმუქრება, ზარალსაც გადაგახდევინებო!

მხდალი და ჯამბაზი მხოლოდ სიტყვით არის უკიდურესი, საქმით რამდენი სილა გადაყლაპეს კრემლის ვაჟბატონებმა! ჩან-სო-ლინი რა არის, ხელსაც არ მოატრიალებს. ლაწუნი არ გაადინოს. მოსკოვი პროტესტით უპასუხებს. ეხლა აიღეთ დიდი ბრიტანეთი, როგორ გგონიათ, შეუშინდება თუ არა ის მოსკოვის მუქარას რა თქმა უნდა. თავმოყვარე და სერიოზულ სახელმწიფოსთან რომ ჰქონდესთ საქმე, დიდი ხნის წინეთ მოხდებოდა დამოკიდებულების გაწყვეტა მათ შორის, ამას თვით მოსკოვი აიღებდა თავის თავზედ. მაგრამ ვინაიდან მას გამბედაობა არ შესწევს, ვინ იცის, იქნება ლონდონმა არ მიმართოს ამ ზომას და ისევ ცდა და დრო გამოშვებით ახალ-ახალი წკიპურტი არჩიოს.

ამ ხნობით კი მოსკოვმა მიიღო ღირსეული პასუხი.

კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის მოწოდება.

ჩვენ მივიღეთ კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის მოწოდება «კავკასიის ერებს». მოწოდება აღნიშნავს რუსეთის საოკუპაციო წყობილების დამხობის მოახლოვებას, იმ აუტანელ პირობებს, რომლებშიაც იმყოფებიან წითელ იმპერიალისტების მიერ დამონებული ერები; აღნიშნავს კავკასიელების შეუდრეკელ ბრძოლას მოძალადეთა წინააღმდეგ და იმას, რომ ამ ბრძოლაში მათთან არიან უკრაინელები, თურქესტანელები და სხ.; აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანის, საქართველოს და ჩრდილოკავკასიის დემოკრატიულ რესპუბლიკათა წარმომადგენელთაგან დაარსდა დამოუკიდებლობის კომიტეტი და იმედს გამოსთქვამს, რომ მათ საერთო ბრძოლაში მალე ჩაებმება სომხეთიც. მოწოდება ასე თავდება: «კავკასიის ერებო, შემოიკრიბეთ მთელი თქვენი ძალღონე! არ წამოეგოთ ოკუპანტთა პროვოკაციის ანკესს. როცა დაჰკრავს ბოლშევიკური რეჟიმის უკანასკნელი ჟამი, საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე აღმოცენდებიან დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკები და განთავისუფლებული კავკასიის ერები ერთი მეორეს გაუწოდებენ ხელს კონფედერაციის დასამყარებლად. ბოლშევიზმი კვდება ყველას მიერ შერცხვენილი და მიტოვებული. საბჭოთა კავშირის მიერ ჩაგრულნო ერებო, რომელნიც თავგანწირვით მიისწრაფვით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, შეკავშირდით და გაერთიანდით! ძირს რუსეთის საოკუპაციო ძალაუფლება! გაუმარჯოს კავკასიის დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკათა კონფედერაციას.»

◆

ქართველები საფრანგეთში.

კვირას, მაისის 8-ს გაიმართა საფრანგეთის ქართველთა საზოგადოების კრება. კრება გახსნა თავმჯდომარემ ვ.ხ. ღამბაშიძემ, რომლის წინადადებით დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცეს გარდაცვალებულთა პ. მელიქიშვილის, არ. ლეისტის და ოლგა ჭავჭავაძის ხსოვნას. თავმჯდომარემ აუწყა საზოგადოებას, რომ საქართველოს კათოლიკოსის ამბროსის სულის მოსახსენებლად მოკლე დროში გადახდილი იქნება საეკლესიო და სამოქალაქო პანაშვიდი.

შემდეგ ჩვენმა ისტორიკოსმა პროფ. ექ. თაყაიშვილმა გააცნო საზოგადოებას თავისი ფრიად საინტერესო მოგონებანი ქართული უნივერსიტეტის დაარსების და პროფ. მელიქიშვილის შესახებ. დიდის ყურადღებით მოისმინა საზოგადოებამ ვლასა მგელაძის მოხსენება «ქართული ეროვნული სული»—ქართველი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერება.

ექ. თაყაიშვილის მოგონება დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში.

26 მაისი.

ხუთშაბათს 26 მაისს, პარიზის ქართველთა საზოგადოება Salle des Hautes Etudes Sociales (16, rue Sorbonne) ჰმართავს დღესასწაულს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად. დღესასწაული დაიწყება ნაშუადღევის 3 საათზე. მოხსენებას ფრანგულად წაიკითხავს დ. შარაშიძე. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ ქქ. ვაჩნაძე-ივერსონი და პაპუაშვილისა და ბბ. ნანობაშვილი, ივანიძე და ორბელიანი.

Rédaction et Administration.
M. J. GOBETCHIA
18, rue des Acacias, Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*

Le Gérant : LARGILIÈRE.